ادبیات معاصر

N1

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა ნ დ ა მ ა ტ ი

სტუდენტური ლიტერატურული ჟურნალი

№ 1 2018

სტუდენტური ჟურნალი „ანდამატი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურული ტრადიციის მოკრძალებული გაგრძელებაა. იგი იბეჭდება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა ფინანსური დახმარებით და მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად ხმარდება ჟურნალის შემდეგი ნომრის გამოცემას. ჟურნალი მიზნად ისახავს ნიჭიერი სტუდენტების აღმოჩენას, მათი შემოქმედების წარმოჩენას, ცოცხალი ლიტერატურული გარემოს შექმნას და, ამდენად, მისი კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა.

ჩვენი და მთლიანად სტუდენტების სახელით დიდ მადლობას ვუხდით ყველა ადამიანს ამ ჟურნალის გამოსაცემად გაწეული შრომისა და ფიზიკური თუ მორალური დახმარებისთვის.

ნომერი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს.

რედაქტორი თორნიკე კანდელაკი

სარედაქციო კოლეგია: ილია ცეცხლაძე
გიორგი კახიშვილი
კონსტანტინე წოწორია

გამოცემაზე მუშაობდნენ: თამარ გაბელაია
ნინო ებრალიძე
თამარ გულბანი

ISSN 2587-5027

შინაარსი

პოეზიის დღე 4

პოეზია

თორნიკე კანდელაკი 5
ნატალი აბესაძე 9
ლიკა კაპანაძე 11
თამარ ბაბუციძე 13
ლალი კუკავა 14
ეკა ჯიქია 15
ლუკა ბაზაძე 16
ლაზარე ლაზიანი 17

პროზა

მარიამ რაქვიაშვილი 21

მხატვრობა

ნინო გიორგაძე 23

თარგმანები

პოეზია

მარინა ცვეტაევა 24
ანდრეი მაკარევიჩი 24
ალექსანდრე პუშკინი 24
(თარგმნა ლალი კუკავამ)

ანა ახმატოვა 25
ანდრეი ბელი 25
ალექსანდრე პუშკინი 25
(თარგმნა გიორგი კახიშვილმა)

პროზა

ვიქტორ პელევინი - ზიგმუნდი კაფეში 26
(თარგმნა გიორგი კახიშვილმა)

ესე, პუბლიცისტიკა

თეონა მახარაშვილი 29
ციური გვენეტაძე 30

პოეზიის დღე

ჩვენ ვდღესასწაულობთ ეროვნული პოეზიის დღეს არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ძლიერია თავისი წარსულითა და აწმყოთი, არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ქმნიდა შედევრებს, რომლის მსგავსით იამაყებდა ბევრი გამოჩენილი ერი.

პოეზიის დღე... რა დიდი სიტყვაა! რა უბოლოო კიბე, რომლის ბურჯი დგას იმ სისხლის მორევში, რომელსაც თანამედროვეობა ეწოდება და რომელიც უმაღლესი მწვერვალით იკარგება იმ ლაჟვარდებში, სადაც ევლინება დანტეს – ბეატრიჩე, პეტრარკას – ლაურა, რუსთაველს – თამარი. ეს პოეზიაა – ყოვლისმფლობელი, როგორც სიყვარული და სიკვდილი.

ჩვენს პოეზიაში წარსულიდან ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის დაქანების, მანერა ბრძოლის, საქართველომ შეისისხლხორცა პოეტის გემოვნება, მისი ჩვეულებები, მისი ალერსი, მისი სასიყვარულო სიტყვები. საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამაღლებული, მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა.

ბევრმა ცივილიზაციამ გაიარა და ყველამ დასტოვა წაუშლელი კვალი, მაგრამ საუკუნეების ცეცხლიანმა სრბოლამ ბევრი იმედები წაართვა ერს და საქართველოც ნანგრევებში მოექცა. და ამ შემთხვევაშიც კი ეს დანგრეული, გაღარიბებული, დაღლილი ქვეყანა მაინც უმშვენიერესია, მით უფრო უმშვენიერესი, რომ ყოველთვის იზიდავს თავისი წარსულით პოეტის გულს! საქართველომ მიიძინა, როგორც მეფემ, და გამოიღვიძა, როგორც გაძარცულმა, მაგრამ მის ახლო, თვით მასში, ყოველთვის იყო და არის თვით პოეტი. პოეზია საქართველოში იყო ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, მოძრაობდა, ხმამაღლა გაიძახოდა, ამნაირი სახით მოვიდა იგი დღემდეც.

ბევრი რამ წარსულის პოეტისა არ შეესაბამება თანამედროვე პოეტის საქართველოს. ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს – არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩეს მას. მას აქვს მეტი გამბედაობა, რომ წავიდეს წინ, შემდეგი ეტაპისკენ. იგი ერთი წამიც კი არ გაიფიქრებს, რომ მხოლოდ ჩვენს შორეულ წინაპრებს შეეძლოთ შეექმნათ ახალი, მშვენიერი და უხრწნელი.

დღევანდელი ქართველი პოეტი არ ჩამორჩება წინანდელ ქართველ პოეტს, არც თანამედროვე უცხოელ პოეტს. არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არ აქვს – უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული. ეხლა ყოველი მოწინავე ქვეყანა გრძნობს საჭიროებას, გადავიდეს ახალ ფორმებზე და გამოიყენოს წარსულიც. მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც. ისეთები, როგორიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტეხნიკურ საშუალებებს.

ჩვენ განვიცადეთ ახალი საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია. არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები. ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც. იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ნამდვილი ფაქტები ქართველი პოეტის ცხოვრებისა არის მშვენიერებისა და ძლიერების ისტორია, მისი ამაყი პროფილი განათებულია იმ განცდით, რომ მისი პოეზია არის სასწავლო არა ათას ერთი ღამის, არამედ მისი მშობლიური სულის მწუხარების; ეს დიდი ღირსება მემკვიდრეობითი წესით გადმოვიდა მასზე წარსულისაგან. ამნაირად უყურებს ქართველი პოეტი მის გარშემო დატრიალებულ ქაოსებს. ეხლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოიცელოს შემბოჭებელი სიცივე გარდამავალი ლანდების. იგი იხუთება და სურს ჰაერი. მას ენატრება ნათელი დღეები, ისეთი დღეები, როგორიცაა დღევანდელი დღე, მაისის 7 – პოეზიის დღე.

სალამი ქართველ პოეტებს, ჩვენს სიამაყეს, გაუმარჯოს საქართველოს – ქვეყანას პოეტებისას. საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია და პოეტებისათვის უპირველეს ყოვლისა – საქართველო!

გალაკტიონ ტაბიძე
მაისი, 1922

პ ო ე ზ ი ა

თორნიკე კანდელაკი

თქვენს ხელებს

ბრაზს მიჩენს თქვენი წყრომა და სევდა!
თაობა მუდამ დაემდურება
თქვენს ხელებს, რითაც აკვანს გვირწევდა
დაუნდობლობა და უგნურება.

ხელებს, რომელთაც განაგდეს ძილი,
გაცივდნენ, როგორც სამართებელი,
სისხლი და ცრემლი მათით დაღვრილი,
არის ჩვენ ცოდვათ გამმართლებელი.

ხელებს, რომლებიც ანდერძს აწერდა,
დატოვა ტვირთი აურიდავი,
საკუთარ მძიმე ყოფასთან ერთად,
უტვირთავ ტვირთის ჩვენ ვართ მზიდავი!

თქვენ მას ვერ ხვდებით, ჩვენ რომ არ გვეთქვა?
ამ შეხსენებით გაიგებთ ახლა!
გულს ვით უჩნდება ასეთი ფეთქვა,
და ანარეკლი ის რისი გახლავთ.

შეხედეთ, თუ რა გაქვთ დათესილი
და რით ამაყობთ, თავს რით იწონებთ,
ითხოვთ, გეზარდოთ მამულიშვილი,
სასწორზე კი რა დევს საპირწონედ?

მადლობა ღმერთს, ჩვენ არ ვუხდით ღალას
ზნეს, რაც წარსულის იყო წარმწყმედი!
და იმისათვის მივცემთ მძლავრ ძალას
ხელებს, რომ სჭედონ ნანატრი ბედი!

თუ ვერ ვიცხოვრებთ, როგორც გმირები,
გადავიქცევით საჭირო ბრძმედად,
მიზანს ამაყად შევეწირებით,
დე, გმირთა ვიქცეთ წინამორბედად!

მუხა

„ – განა არ მოწმობს ჩემსვე სიყვარულს,
რომ ერთგულება ჩემს შვილს აქვს მისი
და შესდგომია ამ გზით სიარულს
იმავე გრძნობით, იმავე მიზნით?!“

ვერ გადახარეს მძლავრმა ქარებმა,
გამოელია თუმცა ძალა კი,
ეხ, მუხა ქალაქს არ ეყვარება,
როგორც ამ მუხას უყვარს ქალაქი!

იყო ყოველთვის უშიშრად მდგომი,
ო, რაც არ უნდა, თავს დასტყდომოდა!
ცხოვრება მისი – მუდმივი ომი,
ცხოვრობდა იგი, ნიშნავს – ომობდა.

მას ვერავისი ხედავს თვალები,
ქალაქს ვით იცავს და ეფარება,
როცა გრგვინავენ ქარიშხალები,
დაუოკებლად, შესაზარებლად.

სიცოცხლეს წირავს დაუფიქრებლად,
თავზე ამღები სხვათა წამების
და სწორედ მათგან (განა იქნება!)
გამხდარა მსხვერპლი ცილისწამების.

არ დაეცემა მაშინაც მუხა,
გზაა იმედის არჩანახერგი,
გადაავიწყებს ყველა საწუხარს
ფესვს ამოზრდილი ახალი ნერგი,

რომ ხედავს მუხის მაღალ სიმშვიდეს,
რომ ვაჟკაცობას მისი დღეების –
ის ბალავარად გულში დაიდებს,
ვით გამკლავებას მოძულეების,

რომ გრძნობს, ისაა ქება პირველი,
როგორც მთესველზე ყანა ნათესი,
მტერ-მოყვრისათვის თვალსახილველი
მტკიცება მუხის სიდიადესი.

ვინც სხვას გაუღო მძიმე კარები,
ორივე ქვეყნად პოვა ალაგი.
„ – დაე, ჩემს ქალაქს ნუ ვეყვარები,
მხოლოდ ცოცხლობდეს ჩემი ქალაქი!“

სანამ

ვერც მტერი, სისხლისმსმელი,
დაუნდობელი, ავი,
ვერც მოძმე, გვერდში მდგომი
მტკიცედ, იუდასავით,

ვერც ქალი, ჯადოსნურად
მოღიმარ-მომხიბლავი,
ვერც დედაბერი, ხელში
სადგისითა და კრავით,

ვერც ჯადოთი და ლოცვით
მკითხავი თუ მჩხიბავი,
ვერც პნევმონია ესე,
ფილტვების გამომხრავი,

ვერც ყველა, ამათ ფესვი,
გულშავი, უხილავი,
ვერ ღირსებია, ჩემი
ენახა ფსკერზე ნავი!

დავეცი, დაველუპე,
წაერთვა დასაცავი,
ვერა, ვერავინ ქვეყნად
ყოფილა დამძალავი!

სული მქონია სანამ,
მაღალი, სალ კლდესავით,
თვით მიმიცია ნება
და დამიხრია თავი.

* * *

ახლა მთისკენ მივდივარ,
როგორც ბარათაშვილი,
გულმა აატივტივა –
ო, არაა საშველი!..

უდაბნოში დავიწვა
უხმოდ, განმარტოებით,
ნუ შეკრავს დედამიწა
გვირგვინს დაფნის რტოებით!

დამრჩეს შორს უსამანოდ
ძნელად დასატოველი,
ოღონდ მწამდეს, ამაოდ
არ იქნება ყოველი!

წიგნებს დამაცქერალი,
როგორც ბოლოს ცხოვრების,
წერდა ერთი მწერალი
წერილს გამოთხოვების:

„ეჰ, სახელი პოეტის
სხვისთვის იყო საშვენი,
რა ამაოდ მოვედი,
რა ამაოდ დავშვერი...“

ოთახის ყვავილი

თავდახრილი ფანჯარას
მიყრდნობია ყვავილი,
ისევე მიჯაჭვული,
მოწყენით მინავლილი.

თვალს მოავლებს ველს და მთას,
იგრძნობს ბედის სიავეს,
და ინატრებს მხურვალედ
მინდვრის ცას და ნიავებს.

„ეჰ, იქ ქარიშხალების
ფეხქვეშ გარდაცვალება
არ სჯობს აქ ჩემს სიცოცხლეს,
წლობით სულის წვალებას?“

იტყვის ჩუმად, თავისთვის,
თვალზე ცრემლმორეული,
და ისევ გამრთელდება
დუმილი, დარღვეული.

ტრიოლეტი წაკითხულ ლექსებზე

ო, ვინც არ გინდა, საღამოზე იყოს წვეული,
აღტაცებული ტაშს სცემდეს და გაძლევდეს იმედს,
იქნება მაინც ეს მეტოქე, ვერდაძლეული!
ო, ვინც არ გინდა, საღამოზე იყოს წვეული.

ამაო არის ყველაფერი, თუ ორეული
სარკიდან, როგორც მომაკვდავი, არ გაიღიმებს!
ო, ვინც არ გინდა, საღამოზე იყოს წვეული,
აღტაცებული ტაშს სცემდეს და გაძლევდეს იმედს.

ოქროს დაბადება

უჩივლე, მიდი, წმინდანთა ხატებს,
გულს, გამწარებულს, ახსენ აღვირი,
შარავანდისთვის ღმერთი გამზადებს,
შენ კი უბრალო დაფნას დასტირი!

არ დაემსგავსო წერას ატანილთ!
ყალბ სამკაულით მათ იბობოქრონ,
შენ შენს ღუმელში აწრთე მადანი,
ცეცხლში დაბადე ბაჯაღლო ოქრო!

ყოველთვის, ყველგან მისი ნათება
უნდა ჩაეცეს ლახვრად უკუნითს,
როცა ხელახლა დაიბადება
ჩარჩოში ამ თუ სხვა საუკუნის!

* * *

უფალო, გვედრებ,
აზრს მიმახვედრე
ჩემი აქ ყოფნის...
თორემ წყეული,
ეს ზეზეური
სიკვდილი მჯობნის!

გთხოვ, მე, უძღები,
ვეღარ ვუძღვები
ცხოვრების უღელს,
მსხვერპლი ბნელ წამის
თავის კვლამ ლამის
გამხადა წუხელ..

ამ თვითნებობამ
შენი მეფობა
დამავიწყა მე,
ღმერთო, მიშველე,
გზები მიჩვენე,
ღმერთო, მიწყალე!

სიმარტოვისას
ტანჯვა მომიცავს
სარკის წინ, უღირსს...
მინდა, გავექცე
და სად გავექცე
ჩემს მტანჯველ წუხილს?

ამ უკუნური
დღის თმენა მწყურის,
ისმინე ლოცვა!
მოდი ჩემს გულთან,
თორემ უფსკრულთან
ძალზე ახლოს ვარ!..

* * *

რად მახსენდება, ყოველღამე რად მახსენდება
შენი თვალები, მაგ თვალებით მოკლული გული?
აჰა, ეს ღამეც, მოგონებით შემორკალული,
როგორც სხვა თეთრი ღამეები, თავს მათენდება.

მითხარი, ასე რად მაწამებს სივრცე სიშორით,
ასე იქნება, ასე გასტანს მთელი ცხოვრება?
იქნება შენი სახება და მემახსოვრება,
როგორც ტაძარში მიუწვდომელ ხატის ამბორი?..

ან მოდი ჩემთან და შემაშრე ცრემლების ღვარი,
ჩაბარდეს წარსულს ეს ამბავი, როგორც სიზმარი!
დაუნდობლობას არ მოიშლის ბედი – ჯალათი.

ნუ შეგზარდება ან ლოცვაში ჩემი ხსენება,
ქამრით შებოჭილს, დღითი დღე თუ მომეჩვენება
მეფის სამოსად გადაცმული თეთრი ხალათი!

ამბორი

არაფერი არ არის გულში ყურადსაღები,
ო, რომც იყოს, მე გულის დავკარგე გასაღები!
ვცხოვრობ ისე, მრავალი ვით ცხოვრობს წყალწაღებით,
დროის ფლანგვით, მშვიდად და, ბოლოს, აცახცახებით.

ღმერთო, ის ოცნებები, გულით ნაოცნებარი,
ღმერთო, ის იმედები, რომ მკოცნიდნენ მგზნებარედ,
ნუთუ წუთის იყო და წუთისთვის უებარი?
თითქოს ყველა დავკარგე, ვისაც ვყავდი, ვებარე.

ო, ძვირფასო, მძიმეა ამ წამების მსვლელობა,
არ ჩანს მათ წინააღმდეგ გაბრძოლების მცდელობაც,
გაჩნდება და სიცხადის ჩაკლავს ულმობელობა,
და სისინებს გველივით ასეთ დროს თვითმკვლელობა.

ო, ძვირფასო, შემხედე! ვდუმვარ ვით წამებული!
სულს ვით ახრჩობს უშენოდ ეს დღე, დაღამებული!
ო, უშენოდ წამალიც არის გაშხამებული –
ვერსად მე შენ გარეშე ვერ ვარ დაამებული!

დაბრუნდება, მითხარი, ის დღეები მზიანი,
სადაც ერთად მე და შენ, როგორც სული მთლიანი,
ვგრძნობდით ცას, სად ვერ სწვდება ცოდვით ადამიანი,
მითხარ, რომ სულ ამაოდ გავხდი გულნაღვლიანი!..

სულით დაცემა

ერქვას გათქმა, ძალით თუნდა თავის გაცემა,
რომ ეს არის, თქვი ხმამაღლა, სულით დაცემა!

რომ გახრჩობდა ის უსახო ღამით ნაღველი,
მოეფინა შუქი ახლა – სულით დაცემა.

შვება მოაქვს გაგონებას ტანჯვის სახელის,
შვა უმწეოდ თავის დახრამ სულით დაცემა.

შეუტიე, გულს გაუნგრევს შენი ძახილი!
წარსულს გაჰყვეს (იშვი ახლად!) სულით დაცემა.

საკადრისის მყის პასუხის უნდა გაცემა,
სანამ მწარე მოგეახლა სულით დაცემა!

არშეჩერება!

ამ ნისლის ქუჩებს ჰგავს მზერა ჩემი,
მიჩივის მამა, მიჩივის დედა...
მოდი და წუხილს ნუ მიეცემი!
სვავივით დამდევს სასოწარკვეთა...

კარგი, თვალებმაც მიმზირონ წყრომით,
გულამჩქროლებმა წარსული ხნიდან,
ფიქრებწახდენილს, დე, წინვე მდგომი
თვითმკვლელობასაც ნუ დამიშლიდა!

ნურც ჩემს მეგობრებს ნუ ესმით იმის,
ან რა მახარებს, ან რით ვმწარდები,
ვამჩნევდე იმათ დამცინავ ღიმილს
და „განსხვავებას ჩვენი დარდების“.

სადაც ფეხს დავდგამ, ყველგან, გარშემო,–
ო, არა მხოლოდ გულმა მაუწყოს,
რომ ვერსად ხედავს ადგილს საჩემოს,–
მზვერავენ, როგორც უნდობს და უცხოს.

და ამ ქუჩაშიც ეულად ვიდგე,
ვერასდროს შვებას ვერ ვღირსებოდე,
მიმიდიოდეს გზა არსაითკენ –
ვიდგე მაინც და არ ვეცემოდე.

მტანჯავდეს მუდამ ეჭვი წყეული,
ის გული, რითაც ვითმენ იარებს,
ვინაც იქნება შემდეგ წვეული, –
თასს მხნეობისას ვით აზიარებს?

გაუჩენს ასეთ შურისძიებას –
მზად იყოს, ყველა შხამი დალიოს!
მხოლოდ ბრძოლაში ხედავდეს შვებას,
არ იცილებდეს ერთ მედალიონს,

ამაღლებულიც და დაცემულიც
დასცქერდეს მარად, სად ეწერება
სიტყვა, ძლიერი, უტეხი სულის –
„არშეჩერება! არშეჩერება!“

შინდები

მე დამესიზმრა შინდის ტყე წუხელ
და იმ ველებზე დიდხანს გეძებდი,
მოჰქონდა ქალღმერთს სხივის და მწუხრის
უოქროსფრესი დიადემები...

მქროლი ფოთლები ებარა ტყის მცველს,
მშვენიერ, ჩუმ და შაოსან ყმაწვილს.
ო, ამ მშვენიერ გულს საშველს მივცემ,
თუ ამ შინდების სიმშვიდეს გავცდი...

სხვა სიცოცხლეში მეც სუნთქვად წიფლის
წვიმათა მძივად დავნაწევრდები...
მე დამესიზმრა შინდის ტყე წუხელ
და იმ ველებზე დიდხანს გეძებდი...

ლილე

ეს თეთრი ჩოხა სისხლნაბანია!
ეს თეთრი ცხენი მოსყიდულია!
ლილე! არასდროს
არ შეგაშინოს
თოვლმა, წკვარამმა,
ხმამ დავიწყების,
თუ ჩრდილოეთის
უცხო მხარიდან
საღამოს ჟამზე გამოიქცევი.

ეს თეთრი სახლი ნამქრიანია,
ეს თეთრი ხელი –
ლოლოს ნამგვანი.
ლილე! როდესაც ჩრდილოეთის მთამ
წამოიხუროს თავზე საბანი,
წამოდი!
რადგან სხვა ზაფხულებზე
წამით ნათიბი თბილი დღეები
მოგატყუებენ, მიგიზიდავენ,
კვლავ სიყვარულში დაგაჯერებენ.

ანას

გიცდი, რადგანაც დიდი ხანია,
მოდიხარ – სუნთქავ, გცივა,კანკალებ...
შენ ის ფირუზის ლურჯი ზოდი ხარ,
რომელიც ვნახე უცხო მხარეში
და მერე ნაცნობ ალაგს დავკარგე.

გიცდი, და ჩემი არის ლოდინი,
დამძიმებული ტყვიის ლოდივით.
შენ კი მსუბუქი ლურჯი ზოდი ხარ –
გცივა, კანკალებ, სუნთქავ, მოდიხარ...

00:03

ლამპიონების ანათებს მთვარე
ქალაქის გამოფიტულ საუფლოს...
ხანდახან მიტევს სურვილი, მწვავე,
რომ გესაუბრო...
რომ ვისაუბროთ, მაგრამ არავინ
და არაფერი არ მეთანხმება.
არადა, ყვირის ჩემში კარავი
სახმო სიმების, დასაძახებლად.

მიაძიმას ნაპირი

თვალწინ მიდგას, თვალწინ მიდგას
მიაძიმას ნაპირი...
დაღლილი შენ, ტირიფები,
წვიმა, სხვა არაფერი...
გზა სახლისკენ, მომთენთავი,
ნაზი და უსახელო,
გამხდარი დის ნაძვისფერი
მოსასხამის სახელო...
მაყვლის ძებნა, შესვენება
მიტოვებულ ჩეროში,
ბავშვის ტერფი, მინაბული
ტყემლის სველ კენწეროში...
მალვით ჩემი ჩახუტება,
ირმის სერზე სირბილი...
მარტოსული დის უთქმელი,
უმადო სიმძიმილი...
თვალწინ მიდგას, თვალწინ მიდგას
მიაძიმას ნაპირი...
დაღლილი შენ, ტირიფი და
წვიმა, სხვა არაფერი.

კაფე სიკვდილის ველზე

სიკვდილის ველზე, ჩამწკრივებულ ფორთოხლებს შორის,
კაფეა ერთი... იმ კაფეში მე და შენ ვსხედვართ.
იხრჩობა კაფე სიგარეტით და არასწორის –
ავიღებ კალამს და – დავიწყებ მე ნომრის წერას.

ოდნავ მოხრილი... გრძელი თმები... ხელში – ტეკილა,
ნაზი ტუჩებით ჩურჩულებ და თანხმობას ელი,
გამხდარ ხელებში კვამლის ბოლქვი გადატეხილა,
ერთადერთია ეს კაფე და ვრცელია ველი.

წელში მოხრილან ფორთოხლები – კანკალებს ზეცა...
მოლანდებების ფანტომები ავსებენ არეს.
– იცი, აქ გუშინ ერთ ქალსაც რომ შენსავით ეცვა?
სომბრეროები ირწევიან, ამოდის მთვარე.

– რა ხდება, ეს რა ამბავია, ბნელდება უკვე?
– კოიოტებიც დადიანო, ხმა ასე დადის...
– ჰო, მაგრამ, მე რომ წასვლა მინდა?
– შიათ იმ წუნკლებს...
– ?!
– რა ვიცი, შენ თუ წასვლა გინდა, არ გიშლი, წადი!

მოლოდინი

წამებულ ღიმილს შემოისხამს სულის ნათება,
ჩვენი ცრემლებით აღვივდება თქვენი კოცონი,
თქვენივე ფიქრის მსგავსი არის თქვენი კოცნები,
გულს კი თავისი, გულს თავისი დაემართება.

თქვენი და ჩვენი ურთხელებიც ერთად ჩამოხმნენ,
თუმცა ქიმიურ ქარხნებს მხოლოდ ჩვენკენ აგებდით,
ჩვენი თვალები თავგანწირულ ბრძოლას აქებდეს
და თქვენს ტანებში გული, როგორც ჩიტი, წამოხტეს...

გლოცავთ! აიღეთ ტანჯვისათვის ჩვენგან ნობათი!
ჩვენივე სისხლი გადიქცევა წყაროს წვეთებად,
და ჩვენს სულებში ადიდდება ღმერთი, როცა კი
თქვენში ეშმაკი დაშრება და დაიწერტება.

წვიმავ!

უწვიმია ამ ღამეს, მიწას დაუფენია...
წვიმავ, შენი ნათქვამი მუდამ მემახსოვრება!
არა, კი არ მწყენია და არც გული მტკენია,
მაინც პირში მოხლაა მთელი ჩემი ცხოვრება.

ყვითელ ფოთლებს მიკერავს, ქარი გავინაპირე,
შორით წასვლის აკვანი ზეცამ დამარწევინა,
გაფითრებულ სახეზე თვალებს ვმალავ, ნატირებს,
წვიმავ, ასე გულცივად მაინც რამ გათქმევინა?!

ფერმკრთალი იები

ცას შეეხიზნე, ჩემო ნებავ, ცას
შეეხიზნე,
ჩემო სურვილო, ჩაიმუხლე მნათობ
ნაპირთან,
ჩემო ოცნებავ, უღიმღამო კაბა
ჩაიცვი,
როგორც ფრინველი, უდარდელი,
ისე დაიწვი,
ისე დადუმდი, დანაწევრდი, ისე
დამიწდი...
არ შეასრულა მეასედი, რასაც
დაგპირდა,
წყაროს ხელებზე ვერ მოგარგო
მნათი ნიღაბი,
ფერმკრთალ იებში გაგაბნია,
როცა დაგჭირდა,
როცა დაგჭირდა, ძლიერ ლურჯი
ყოფილიყავი.

უთხარი მას, გაახილოს...

– მე თავს დავდებ
ლურჯი სიყვარულისთვის.
უთხარი მას,
გაახილოს გრძელწამწამა
თვალები...

ამაზონის ტყეებში მოსული წვიმა
გამჯდარია
ფიქრში,
როგორც ხავსში.

დაცურავენ ტბის პირებზე
ლოტოსები.
შეშრა ცრემლი,
რაც თან გახლდა ბავშვობიდან?
თუ იხილე პოლარული ნათებები?

– არა, ჯერაც ვერა, მაგრამ

მე თავს დავდებ
ლურჯი სიყვარულისთვის.
უთხარი მას,
გაახილოს გრძელწამწამა
თვალები...

* * *

ძვირფასო იან, დაკარგული შენი ვარ ცალი,
ფეხი დამიცდა, სხვა ქარავანს გამოვედევნე,
ათასგზის ცხვირწინ მომიხურა ცხოვრებამ კარი,
ათასჯერ გამცა უფლისადმი შენზე ვედრებამ.
ძვირფასო იან, რა მოგიყვე, როგორ გიამბო,
ვერცერთ ქარტეხილს, ვერცერთ ტრამალს ვერ გავექეცი,
საკუთარ ტკივილს, ცხელ ტუჩების შუბლზე მიდებით,
ვუზომავ სიგრძეს და სიმძაფრეს...
ჰოდა, გავლექსე, სხვანაირად ვეღარ შევძელი,
ვერ დავემალე დეკემბრის სუსხს, ძვირფასო იან,
და იქნებ შენთვის სულ ერთია, ან შეიძლება,
მე უკვე შენი გაფრენილი წარსული მქვია.
ძვირფასო იან, ყველაფერს რომ ჰქონია ბოლო,
ჩვენც რომ დავსრულდით, ყველა მწვერვალს ჩაექცა ნისლი,
და რადგან ფიქრებს სინანულად შემორჩათ მხოლოდ
სახელი შენი, ატუზული, კარებთან იცდის
შიში, რომელზეც ვიქორწინე, ძვირფასო იან,
შიში, რომელსაც ჩემი ხელი უჭირავს ხელით,
შიში, რომელსაც მარტოობის სახელი ჰქვია,
შიში, რომლითაც ქრისტესავით ათასჯერ ვევნე...
ძვირფასო იან, დაკარგული შენი ვარ ცალი,
ცხოვრების ჯაჭვზე შეწყვეტილი უბრალო მძივი,
ნეკნი ვარ შენი, შენი მტვერი, ქცეული ქალად
და ცარიელი ადგილები შენსავით მტკივა.

* * *

კი არ გათენდა, გაათენე და ახლა ზიხარ...
თვალები – რწმენადამტვრეული სხივებით სავსე...
და ფიქრობ (უკვე მერამდენედ): რა თავში იხლი
მორიგ უმიზნო გათენებას. ეს ფიქრი გავსებს.
აყოლებ თითებს ჩამოწოლილ ცრემლის შარაგზებს.
ოთახში ისევ მირონივით იღვრება სიცხე
და რადგან უკანდასახევი გზები დარაზე,
უმიზნო, მძიმე ნაბიჯების გადადგმას იწყებ.
არ იცი საით, მაგრამ მაინც, მაინც მიდიხარ,
გინდა, გაშორდე ტკივილების პირქუშ საფლავებს,
და გრძნობ, რომ თვითონ დაკიდული ბეწვის ხიდი ხარ,
შენივე თავის გადალახვის დროს რომ ჩაფლავდი.
რადგან კანკალმა გამოჟონა სხეულის ტევრი,
გასცდა მოთმენის ცხრაკლიტულებს, დახშულ დარაბებს.
დაგედო მხრებზე ვერშეძლების მხუთავი მტვერი,
გახდი შენივე ნებისყოფის უტყვი დარაჯი.
დგები ფანჯრის წინ და აგვისტოს სიცხის თანხლებით
ასრულებ შენი ტკივილების შავ პროცესიას,
იბრძვი და მაინც, საკუთარ თავს ვერ უთანხმდები, –
ეს ყველაფერი ცხოვრებაა თუ პოეზია.

* * *

მე შენზე ვწერდი, შენ ფიქრობდი: ამად არ ღირდა
ჩვენს თვალებს შორის გაწოლილი მწვანე ურჩხული.
იმ დღეებიდან, როცა ფიქრით გრძნობა დადგინდა,
მე მედავითნის მოთმინებით შენს თავს ვჩურჩულებ.
ჩამორეკს ქარი მწვერვალებზე დათოვილ ნაღველს
და ბინდისფერი მეომრები იპყრობენ ოთახს.
ოთახს, რომელშიც ჩემი ძილი შენ უნდა ნახო,
შენ უნდა ნახო ჩემი ძილის უშენოდ ყოფნა.
თეთრია ზეცა, თოლიების ფრთებივით თეთრი
და გაჟღენთილი ზღვის ცრემლებით, მე კი მარტო ვარ.
და შენ წინაშე საყვედური, რამეთუ მეთქმის,
ვერ გაპატიე ქარიშხალთან რომ მიმატოვე.
წასვლებსაც ჰქონდათ დაბრუნების მიმქრალი ფერი,
თუმცა დრო ყველა მოგონებას ერთად ახუნებს,
და დარჩა ჯიუტ სინანულად, რაც ადრე ვწერე,
როგორც სჩვევიათ სინანული წასულ ზაფხულებს.

* * *

მარტოსული ვარ! მარტოსული, უცხო სხეულით,
ქარს აყოლილი, შესუდრული სევდის მტვერი ვარ.
და როგორც ქარში სიფრიფანა ძველი რვეული,
ვფანტავ ამ გრძნობებს ლექსებივით, ამიერიდან
არც ერთი სიტყვა, არც კანკალი წარსულზე არა,
არ დაგცდეს. მიდი, შეალეწე კედლებს გრძნობები,
შენს მოსაგონრად უცნაური სიკვდილიც კმარა,
მიდი და უფალს მიუტანე შენი ცოდვები.
მაგრამ მანამდე თაროებზე დაწყობილ სევდას
ჩვარი გაუსვი, გადაწმინდე, რაც ნაგავია,
თორემ საცაა, შენს საფლავზეც იმ ყვავილს რგავენ,
რომელიც გძულს და არც კი გითქვამს, დიდი ხანია;
შენს წამწამებსაც ნაცრისფერი დაედო მტვერი,
რადგან არ ტირი, მიეჩვიე სიცილს ნერვიულს,
და არც კი უწყი, მოყვასია შენი თუ მტერი,
შენივე თავი, სულ რომ ძიძგნის უხმო ვერლიბრებს;
რამდენი დღეა, რაც ობიან ნაღველს მარხულობ,
ღეჭავ და გახრჩობს ვერშებმული გრძნობის მარხილი,
ან მერამდენე ღამე არის, სიზმრებს ნახულობ,
სულ ერთნაირს და აღარც ერთი შეგრჩა სამხილი,
რომ გაამართლო შენი თავი, მერე დალეწო
ეგ ბორკილები, ხელზე არა, სულზე რომ გიჭერს.
ადექი, წადი, თორემ ხედავ? ისევ დაგეწყო
და სიძულვილიც არნახული სისწრაფით გიჩვევს,
ამ სამყაროსი, შენი თავის, დღისაც, ღამისაც.
ჰო, მართლა, დროა, შეალეწო კედლებს გრძნობები,
სანამ ეს როლიც სევდასავით გაითავისე,
ადექი, წადი, მიუტანე უფალს ცოდვები.

იოჰან

ზეცა ნუ გაიშლის წვიმიან ნაწნავებს!
ვუთხარი ხელახალ გაზაფხულს უარი,
იოჰან, მე შენი არმოსვლა მაწამებს,
თამამად არ ვყვები სხვა რეპერტუარებს,
უ შ ე ნ ო დ ვ უ ა რ ო ბ.

რა გითხრა, ოდნავი მოთმენის უნარიც
არ შემრჩა, შენ იცი, ბუნებით ლოთი ვარ,
არ ჩანს, რომ იტანდე ამაზე უარესს,
იოჰან, როდემდე მივმართო ლოდინებს,
მ ო ვ დ ი ვ ა რ.

იოჰან, ოთახში სამყაროს ოდენა,
მოდიან ფოთლები, წვიმები, სიო ...ხან
შენამდე ვერ ვყვები ქარების მიმოხრას,
გულს ვეღარ ვიოხებ, იმხელა ლოდი მაქვს.
და მინდა მოვასწრო, სხვას სანამ მიუხვალ,
ჩ ვ ე ნ ი მ ე ლ ო დ ი ა.

იოჰან, უშენოდ არ მინდა შებინდდეს,
ბოლოა სონატა, რომელსაც ვასრულებ,
იქნებ და გამოჰყვე სიკვდილის შეგირდებს,
აქ ვეღარ დავრჩები, ვერ ვუძლებ ავ სულებს,
შენამდე წასული რადგან ვარ, – ეს არა,
გ ა ქ ც ე ვ ა შ ე მ ი ნ დ ე.

* * *

არსაიდან არსაით, წინაპართა გზიდან ვარ,
მოგონების ხურჯინი ზურგზე შემომდებია,
მოდი, აღარ ვარგივარ ღამის გადამზიდავად,
უნდა მოგიმარაგო გულის ჩემოდნებიდან.
ხელზე შემომდნობია ზამთრის თეთრი კაბები,
ნეტავ არ იკადრებდეს ჩემში ყინვის რეისებს,
სათქმელი მაქვს იმდენი, თავს ვერ შეიკავებდი,
დატოვებდი ყველაფერს, შენთან მინდა მე ისე.
ბნელა, ლამპიონები პოეტებში არ დგანან,
მოეჭიდე ხელს, სანამ გულის გასკდა ნადები,
დნება ღამის კაბები სველ თვალებში, რადგანაც
ყელში ამომივიდა ბედის მასკარადები.
არსაიდან არსაით, წინაპართა გზიდან ვარ,
გელი ისე, აღარსად რომ არ ელოდებიან;
მოდი, აღარ ვარგივარ ღამის გადამზიდავად,
უნდა მოგიმარაგო გულის ჩემოდნებიდან.

* * *

ბევრი არა... რომ ვიცოცხლო, უკედლებო სახლი მინდა,
ჩემს ოთახში შენს სუნთქვაზე აწყობილი როიალი.
შეღებილი კლავიშებით ოქტავებად გაგშლიდი და
შენში უსრულ მოტივებზე დავიწყებდი ბორიალებს.
მერე ზამთარს მაგ თვალების მყუდროებას გადავდებდი,
ყველამ ჩემზე უკეთ იცის, უბატონო მსახურს რა ვნებს,
გზა დიდია, გეფიცები, ასე რომ არ მადარდებდე,
მდგმურად აღარ შევრჩებოდი მარტოობის სახურავებს.
ან რა იცი, შენს ლოდინში რამდენ ღამეს გადავები,
მხოლოდ იმას გედავები, დაბრუნდე თუ არ დაბრუნდე,
დღე არ გავა, უცხო გამვლელს რამით რომ არ გადარებდე,
იმ ქაოსშიც დაგინახავ, სამყარო რომ გადაბრუნდეს.
შემოვრჩები მოაჯირზე დარდშემოსილ დახრილ ხიდებს,
ისევ შენში დავბრუნდები, სიკვდილიც რომ მოვიარო.
ბევრი არა... რომ ვიცოცხლო, უკედლებო სახლი მინდა,
ჩემს ოთახში შენს სუნთქვაზე აწყობილი როიალი.

ლალი კუკავა

* * *

ლექსად მინდოდა გარდმექცია, ძვირფასო ჩემო.
შეერთებოდი, ისე მსურდა, ნაცრისფერ რითმებს...
ლექსსაც და შენაც რომ ჯიუტად გჩემობთ და გჩემობთ,
არ მოგეწონა, გამიბრაზდი ამიტომ იქნებ.
შუაღამეა. ახლა კალამს ავიღებ ხელში
და მონატრებას თეთრ ფურცელზე დავხატავ კალმით.
ძვირფასო, იცი? წუხელ ღამით შენ დამესიზმრე,
ამაღამ მოდი, მე გეწვევი ცისფერი კაბით,
გახსოვს, ერთხელ რომ – მეოცნებე ნუ ხარო – მითხარ?
აღარ გიჯერებ და ვაგრძელებ ოცნებას ისევ.
ბოლოს კი, ბოლოს ამის გამო მე თვითონ ვწუხვარ
და ფაქიზ სიმებს ჩემი სულის მე თვითონ ვიხევ.
მშვიდობით! ვიცი, მოგაბეზრე, ძვირფასო, თავი,
არ ვიცი, ბარათს წაიკითხავ როგორ და როდის,
ვკეცავ ამ ბარათს და ქარებით შენკენ ვაგზავნი...
აქვს რაღაც ძლიერ მიმზიდველი უმიზნო ლოდინს.

* * *

ნეტავ შემეძლოს, ვიქნებოდი შენი მოირა
და ცხოვრებაზე გიამბობდი ათას ერთ ზღაპარს...
მასზე, ქვეყანას სულ ბოლომდე ვინაც მოიარს,
ბოლოს კი, მაინც, მარტო რჩება საკუთარ თავთან.
ნეტავ შემეძლოს, ვიქნებოდი შენი მოირა
და შენს სხეულში, ჩემო კარგო, ჩავსახლდებოდი.
ნეტავ შემეძლოს, გაჩუქებდი შენ უკვდავებას
და შენთან ერთად მეც აროდეს დავმთავრდებოდი...
მაგრამ განგება სასტიკია, ჩემო, ჰოი, რა!
ამქვეყნად ერთურთს დააშორა ჩვენი გულები.
ასე არ ქრება არასოდეს ცეცხლი გრძნობისა,
იმქვეყნად ერთურთს იპოვიან ჩვენი სულები.

* * *

ნეტავი, რისთვის მოვედი ქვეყნად?
რაა ღმერთისგან ნაბოძები ჩემი მისია?
ბოლოს ყოველი ნადგურდება, ყოველი ქრება...
რომ არსებობდი, რომ ცოცხლობდი – საკმარისია!
უძღები შვილი დაგიბრუნდი, მიჩვენე ჯვარი,
მერე გოლგოთას შემიყენე, რომ ავათრიო, –
ყოველ წამს ჩემი ცხოვრებისა ბრმად რომ არ მწამდი,
მე ვერ შევძელი, შენ კი შეძლებ, რომ მაპატიო.
სულებს ისე ვსვრით, ვით ბავშვები სვრიან სპეტაკ თოვლს,
თვით ვანადგურებთ ჩვენ გარშემო კარგს და მშვენიერს,
და გამუდმებით ჩვენი სული რაღაცას რომ გვთხოვს,
ის შენ მოგელტვის, შექმნილია რადგან შენ მიერ!
ვგრძნობ, დავიკარგე, გზა ამებნა, უფალო ჩემო.
გთხოვ, მაპოვნინე მე სწორი გზა, ჩემი სავალი.
მაინც რად გვანდე შენი სულის ნაწილი, ღმერთო?
შეძლებს ამასთან გამკლავებას ადამიანი?

* * *

შეჰყვარებია აპოლონს დეფნე,
ისე ძლიერად შეჰყვარებია,
რომ მის ხილვამდე სიცოცხლე თვისი
არარაობად მიუჩნევია.
არასდროს არ აქვს კეთილი ბოლო
ნამდვილ სიყვარულს, უმძლავრეს გრძნობას.
...და სხვაფრივ რომ ვერ მოუღო ბოლო,
მიმართა დეფნემ კვლავ ჯადოქრობას –
გახევდა დეფნე, გადიქცა დაფნად.
ვერ შეუცვალა აპოლონს გული –
მას მაინც მისი დეფნე უყვარდა,
დეფნე, თუ გინდა დაფნად ქცეული.

* * *

რომ დამიბრუნდე, მინდა,
ჩემო ოცნებავ, შორო.
შენ ერთი დამრჩი წმინდა
მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ!
დროს დაბრუნება, ნეტავ,
შემეძლოს რამერიგად...
სხივმა ბავშვობის დღეთა
კვლავ გამინათოს მიწა...
სული მიიწევს ზევით,
ზეცად სურს მას გაფრენა!
დაჰკრავს ლაჟვარდისფერი,
შენი თვალების, დედა...

* * *

თითქოს გრძნობებმა აიწყვიტეს სულ ყველა ღილი,
შენი ფიქრებიც ამ უდღეურ დღეებს ვერ შლიდა,
ისე იყავი სულ ყველაფრით უკვე დაღლილი,
რომ, სადაც იყო, ეს ცხოვრება მალე შეგშლიდა.
ბედნიერება უკანასკნელს ითვლიდა წამებს,
ბოლო აქვს იმედს, ჩემო კარგო, იმედს, განა დარდს.
შენ ეს ცხოვრება გამუდმებით ისე გაწამებს,
როგორც ინგლისი აწამებდა ეულ ჟანა დარკს.
შენი ჭერიდან ვარსკვლავებიც აღარ ცვივიან
და მთვარის შუქზეც აღარ ითვლი სულის იარებს,
გვიან სჩვევიათ აღმოჩენა, ჩემო ვივიან,
სიცოცხლის შემდეგ აღმერთებენ ხშირად დიადებს.
ჩემო იმედო, ეს ცხოვრება რად მომაჩვენე
ბაღად, რომელშიც გვირილები დიდხანს ხარობენ,
მზეო, სხივები ჩემს მხრებთანაც ჩამოასვენე,
ჯერ ხომ მერცხლებიც გადაფრენას არა ჩქარობენ.
მე კი, დაღლილი, გამოვრეკავ ქუდიდან დევებს
და ბოლო ლუკმას – მარტოობას – გავინაწილებთ,
მერე ავდგებით (ვერ ვღალატობთ, ჩემო, ძველ ჩვევებს)
და საზღვარს მიღმა, ღრმა შორეთში გავინაპირებთ.

* * *

„კვლავაც მოჰბეზრდა შრომა სიზიფეს
და მიდიოდნენ თავისთვის გზები,
არ ადარდებდათ, თუ ცის სიმძიმეს
მთელი ცხოვრება უძლებდნენ მხრები.

იმ ღამეს გულზე აწვნენ დევები,
დიდი ტკივილის თანამზრახველნი,
„ნეტავ ცხოვრებას რისთვის შევები?“ –
ისმენდნენ მისი დარდის მნახველნი.

სევდის მორევში ნაპირს ეძებდა,
ვით დაკარგული უმწეო ნავი,
და იმ წამს სუნთქვა ისე ეძნელა,
„ფიქრების ჭაში“ დაიხრჩო თავი.

კვლავ მიდიოდნენ თავისთვის გზები,
შეწუხებულნი იმ ერთი დარდით:
თუ ცის სიმძიმეს უძლებდნენ მხრები,
რად ვერ გაუძლეს ფიქრებს იმ ღამით.“

ლუკა ბაზაძე

* * *

როგორც ყოველთვის, ამ ღამითაც გვიან მოვედი,
მელოდებოდი ნერვიულად, როგორც გჩვევია,
სამართლიანად „მოიხადე“ ერთი პოეტი,
ხოლო მეორე – უჩვეულო განაჩენია.
თუმცა შეგეძლო, მაგრამ მაინც არ დაეხსენი
სასჯელს მიწიერს, გაუგებარს, აუხსნელს ჩემთვის,
მე შენი მმართებს უფრო მეტი, ვიდრე ლექსები,
მე შენი მმართებს უფრო მეტი, ვიდრე ლექსების.
ვერცერთ ღიმილში, ვერცერთ ლექსში, ვერცერთ ფურცელზე
ვერ იარსებებს შენი სულის სევდის საშლელი,
გამომამწყვდიე ავადმყოფი გულის საკანში,
გამომამწყვდიე ავადმყოფი გულის საშველად,
გამომამწყვდიე, როგორც ჩიტი, მოწყურებული
თავისუფლების კაბადონზე ფრენის სიამეს,
და ყოველ ჯერზე, ჩემზე ფიქრით გაფითრებული,
ოთახს უტოვებ შენი სულის ინიციალებს,
ანუ ოთახში გადგმულია შენი ფესვები,
ის ყველაფერიც ოთახშია, რაც კი გადაგხდა.
მე შენი მმართებს უფრო მეტი, ვიდრე ლექსები,
თუმცა, ერთია, სხვა ვერაფრით შევძლებ გადახდას.

* * *

მარტმა იქირავა ყველა აივანი,
(თავს აღარ იკლავენ კაცები)
სულში ჩაფრენილი ბოლო პაემანი,
სანთლები, სიცილი, პლაცებო.

სულ ყველა საფოსტო წერილი დამალეთ
(ვერ მშველის სათქვენო ამბები)
და ჩემი ყოველი ტკივილის წამალი
ყოფილა პლაცებოს აბები.

* * *

ამაყად ვდგავართ აივანზე,
უხვი განძივით
გაფანტულ ქალაქს
გავყურებთ და
ამაყად ვდგავართ;
ბოლო არ უჩანს
პანთეონებს,
ძეგლებს,
გამზირებს...
ვითვლით და
მაღალ აივანზე ამაყად ვდგავართ.

* * *

მიდის უდარდელად ყველა იდიოტი,
მიდის მათთან ერთად ჩემი თვალის ჩინი,
ჩემო მეგობარო, შენ რომ მიდიოდი,
მეტი საფიქრალი გამიჩინე.

ღამემ გაანგრია კარი, დარაზული,
დილამ გადმოაგდო ციდან შავი ფიფქი,
ვეღარ შევასრულე, ვეღარ დავასრულე,
ალბათ, მეტისმეტი ჩავიფიქრე.

მახსოვს, მეგობარო, როგორ მიდიოდი,
(შენი ნაბიჯები ძვირი ეღირება),
მიდის უდარდელად ყველა იდიოტი,
მეც იდიოტურად მეღიმება.

ლაზარე ლაზიანი

ელისეს წერილები

„რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“
მათე, 16, 26

„აქ ეშმაკი ღმერთს ებრძვის, ბრძოლის ველი კი ადამიანთა გულებია.“
დოსტოევსკი

„დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი:
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი.“

გალაკტიონი

სანთელი

დროთა კვდომათა ნდომა დამაქვს და
ფიქრის მახეში როცა გავები,
მარადიულის დევნამ დამქსაქსა,
გაცვდა სიბრძნენი და იგავები....

ვძებნე ბრძენნი და სიმართლის ძენი,
ვძებნე მთებს იქით, ვძებნე მთებს აქეთ,
მაგრამ როს ვერსად დავლანდე ბრძენი,
სიმართლისთვის რომ ვერავინ ვაქე,

ვთქვი: ღვარცოფები, ნაირგვარები,
გადაუვლიან უშფოთველ ალაგთ,
მიწას მოსწყვეტენ ხეებს ქარები,
გამოეცლებათ უძლეველთ ძალა.

წაიყვანს თიკანს სოფლიდან მგლები,
ღრუბელთა ჯარი ილაშქრებს მზეზე,
მე კი, დღენიაგ იმედთა კლებით
ერთ დღესაც ვეღარ ავდგები ზეზე...

მაგრამ ანაზდად გული განაზდა
და გადარაზა შიშის კარიბჭე
გრძნობამ, რომელსაც ამ ქვეყანასთან
კავშირი აქვს და სუნთქვას ანიჭებს;

მაგრამ უეცრად თეთრმა დუმილმა
შავი დუმილი დაადუმა და,
გულს იდუმალი რომ გაუმხილა,
თვალზე ცრემლებმა დენას უმატა...

მყისვე აღმოვჩნდი რძისფერ ეთერში,
მარადისობის ვნახე კიბენი,
და სიხარულით ისე შევთვერი,
ენით ვერ ვთქვი და სულ დავიბენი!...

გულმა დაიწყო თითქოსო როკვა,
სულს გამოესხა ფრთები და, ხალხო,
გწამდეთ ის, რაიც უგულო დროს კლავს
არის თქვენში და ახლოზე ახლოს!...

სარკეები

სარკე I

წუთისოფელი ჭაობია, რომლის გატოპვაც,
ოცნებებშიც და სიზმრებშიც კი მისი გატოპვა,
რწმენა კი არა, შიშია და გულის ობია,
უტოპიაა, უტოპია და უტოპია...
ასე ვასკვნიდით და ასევე ვასკვნით რატომღაც,
ასე გვწამდა და გვესმოდა და გვესმის რატომღაც:
იგი არავის არასოდეს გაუტოპია,
დიახ, არავის არასოდეს გაუტოპია,
და თუ გატოპა – არავისთვის გაუნდობია!...

შიშს გავურბოდით, გზა გვღლიდა თუ ეშმა
გვიტევდა,
ღმერთმა ლომებად გამოგვძერწა თუ სუსტ
ჩიტებად,
მიწა გვიყვარდა – ვარსებობდით თხრისთვის,
ოფლისთვის,
მიწა გვიყვარდა და აალდა ჩვენში სოფისტი,
რომლის ოცნებაც აღარ იყო ჭეშმარიტება,
ზღაპრულ ამბებში დალექილი ჭეშმარიტება,
რადგან სოფისტი იქანცება წუთისოფლისთვის,
გასატოპი და გასაკაფი წუთისოფლისთვის,
წუთისოფლისთვის, წუთიერი წუთისოფლისთვის!...

ეგოს ზვავთაგან ნაბურთალი ყველა სოფისტი,
ეგოს ტალღებში მოყოლილი ყველა ,,ჰერაკლე“,
ეგოს მეწყერში მომწყვდეული ყველა ,,ჰერაკლე“
იბრძვის ხრიოკი, უჰაერო წუთისოფლისთვის,
იბრძვის ეგვიპტედ წოდებული წუთისოფლისთვის
და მშობლიური ქანაანის მიწას ვერ აკვლევს,
სძულს მიზანი და ამიტომაც მიზანს ვერ აკვლევს...
უსასოობით ივსება და გულს ივერაგებს!
წუთისოფელი ჭაობია, რომლის გატოპვაც
ქარის დევნაა, წყლის ნაყვაა და უტოპია,
ასე გვწამდა და გვესმოდა და გვესმის რატომღაც –
იგი არავის არასოდეს გაუტოპია...

სარკე II

სარკე – შენი მკვდარი ყოფის მკვდარი ძეგლი,
ფანჯრებიან კუბოებში დინჯად მდგარი,
ამხელს შენში აღსაყდრებულ სისაძაგლეს,
როგორც ქვეყნის სისაძაგლეს – მღვრიე მტკვარი.

გადახედე წარსულს – გახდი რჯულიერი,
შავ ყუთს თავი უყოყმანოდ გადახადე:
შენი ყოფა, ეს ხომ შენი გული არის,
მონდომებით რომ ძერწე და გადახატე...

სინდისს – ზეცის დაუღალავ ფოსტალიონს –
არ უღებდი კარებს, რათა არ შეგეტყო:
ღვინო, ერთი ქვევრი ღვინოც რომ დალიო,
არ გამოვა, მწარე შიში არ შეგეტყოს!...

რადგან იცი, რა განცდაა, როცა ზენიტს
აღწევს ცაზე ცხელი მზე და ხედავ დამფრთხალს –
თავს გადგანან უმოწყალო მეთევზენი
და გაცლიან მოთმინებით ბოლო ფართხალს...

ხავსებივით მოეჭიდო, გინდა, იღბალს,
მაგრამ იცი, იმედების თეთრი ნიღბით
ისევ შავი მომავალი შეინიღბა,
გამოღმითაც რომ გშოლტავს და გელის მიღმით...

ვერ გაიგე სასოების მისამართი
და სიკვდილი მიგაჭენებს ისე მარდად:
გეგონება, სამარემდე მისამარდი
და სამყაროც შენთან ერთად მისამარდა.

დრომ, არარამ, მიხრწნილებამ და ასაკმა –
ყოველივემ, რაიც ბრიყვთა ხვედრი არის:
უსაქმობით მოგთენთა და დაგასაქმა,
გაიძულა უხეირო ხეტიალი...

ახლა ხედავ, ოცნებებმა როგორ გგვემეს,
გშია არსი, როგორც წიგნი შია თაროს...
შენი ყოფა შეადარო, გინდა, ქვემეხს,
დღეები კი მშიერ ჭურვებს შეადარო...

ახლა საზრობ – უსიცოცხლო სიცოცხლეში
ვერ გახდები მოტრფიალე და მიჯნური,
როცა შენი არსებობა არის ლეში,
არსებობის განცდისაგან გამიჯნული...

ახლა ამჩნევ ნადირობას არწივების,
ამჩნევ, რაღაც ძალა უნდა გულსაც ფრთებად,
რადგან ხვდები, იმედია, აწი ხვდები:
იგი იჭერს, ვინც ლანდავს და უსაფრდება!...

სარკე III

იშვიათია, კეთილი რომ ჰქმნა,
იშვიათია, ავი რომ არ ჰქმნა,
დარდს ძლიერსა და ქარივით მოქნილს,
მხოლოდ და მხოლოდ ცრემლები თარგმნის...

მაგრამ თარგმანი რჩება თარგმანად,
მაინც არ კმარა ის, რომ გაიგონ –
შენი იმედი ბედმა დაგმანა
და შენს გულში რომ ციხე აიგო...

შესცქერი ზეცას, ქარით მოწმენდილს,
შესცქერი შენც და შესცქერის სხვებიც,
შენ კი მარტო ხარ, არ გყავს მოწმენი –
როგორ ტყდები და როგორ იმსხვრევი!...

სარკე IV

იშვიათია, მარტოობის შავმა ქიმერამ,
იშვიათია, თვალები რომ დაახამხამოს,
გათბე გინდა და დაუნდობლად ცივ ქარს გიბერავს,
რათა დღეები გკაწრავდეს და რათა საღამოს

შემოგახვიოს გველებივით შიშის თოკები
და იმედების ყვავილები გადაგითელოს,
გული, გული კი ვულკანივით შენატოკები,
არ გაგიმრთელოს, დაგიჭრას და არ
გაგიმრთელოს!...

ასე გადიან დღეები და წელიწადები,
და დაგჩხავიან გამუდმებით: „თავი იხსენი!“
შენ კი მწარდები, მწარდები და მხოლოდ მწარდები,
რადგან იხსენებ, ივიწყებ და ისევ იხსენებ:

ხეტიალობდი მოუსვენრად დღესაც, გუშინაც
და გააგრძელებ უცილობლად ხვალაც ხეტიალს,
მაგრამ ხომ იცი, როგორც შენში და შენს გულშია,
ყველგან იმგვარი გვალვაა და ჯოჯოხეთია...

ჯოჯოხეთია მოედნებზე, ბაღში, სკვერებში,
ჯოჯოხეთია მთის ბორცვებზე, ბარის კორდებზე,
არ მთავრდებიან ეს წითელი პარასკევები
და რეკვიემი იქსოვება ცივ აკორდებით...

ეძებ პასუხებს, ითმენ კითხვებს, თითქოს ორთავე:
ის გულგოროზი გოლიათი და ის დავითიც
შენ ხარ, შენა ხარ ყოველგვარი ბიძგის მოთავე,
იბრძვი მუშტებით, იბრძვი რწმენის სისადავეთი...

გხიბლავს ის თოვლიც, რომ ვერ დადო ბრძნული
ფრაზები,
მაგრამ ვერ შველი, მაინც ვერა, გულის ობლობას,
გავსებს წუხილით, აპათიით და გაბრაზებით
ჭეშმარიტების ნაცრისფერი შეუცნობლობა!...

* * *

როგორც ნაწვიმარ ბილიკებზე მტვერი ტალახად
გადიქცევა და მტვრის სიჭუჭყე თითქოს ცხადდება,
ცრემლიც, როდესაც სულის მტვერი ხშირად თან ახლავს,
ამხელს საზიზღარ ადამიანს და ის ცხარდება.

საკუთარ თავზე, ვით ბადეში მყოფი თევზი და
ბრიყვი კურდღელი გახვეული მშიერ ხაფანგში,
შემდეგ შეცდომებს აყალიბებს ათას თეზისად
და უამრავი უფასური სიტყვის გაფლანგვით

თავს ვერ იმართლებს, მაგრამ ცდილობს, როგორ არ ცდილობს,
რას აღარ ცდილობს, მაგრამ ტყუილად და ვით ჯამბაზი
არის უფრორე სატირალი და სასაცილოც,
რადგან სარკესთან მარტო დგომა და სჯა-ბაასი

ნათლად არწმუნებს დაღუპვაში. თითქოს კი ნებავს
აღიარება, სინანული, მაგრამ, ცხადია,
ძალა, რომლითაც საკუთარ თავს შეერკინება,
უძლურებაა, თვითონაა, მისი ხატია...

ცდილობს, მივიდეს მდინარესთან, ეძებს დიდ ხიდებს,
რათა ჩაფრინდეს ზვირთებში და შორს, შორს ყველასგან
გაჰყვეს დინებას... როგორც მოსთქვამს, ისე ხითხითებს,
რადგან, რაც გულში ძვირფასი და წმინდა ელაგა,

თავად არ იცის, რამ წაიღო, ან ვინ წაიღო,
თავზე აიღო ძიება და პოვნის მაგიერ
ჭუჭყი, ტალახი უწინდელზე მეტი წაიცხო,
ურწმუნოების მსახურმა და მოჯამაგირემ!...

ლოცვა

და ახლა, როცა სუფთა სარკმელს ვუმზერ, უფარდოს,
როცა სინდისი თვალში ჩამდგარ ცრემლებს აქეზებს
წამოსასვლელად – ამოხეთქავს თხოვნა: უფალო,
მინდა მიყვარდეს და ბავშვივით ვიყო ფაქიზი!

მინდა მდუღარე სინანული – მინდა ბილეთი,
რომ მოვახერხო სიყვარულის წვეულებაზე
წასვლა, რომ ისევ აღარ ვიჯდე საპყრობილეში
და დავიბადო უკვდავების მზისფერ ემბაზში...

მწამს, მოიმატებს ცეცხლის ალი მბჟუტავ პატრუქის,
დაგინახავ და თავს დავაღწევ ვიწრო კენტობას,
რადგან დაგვპირდი – ავაზაკიც და უბადრუკიც
ჰპოვებს შენდობას, თუ გიწამებს და მოგენდობა!...

რადგან შენდობა დაგვიბარე – არის ასეთი:
ბრმანი გხედავენ, ეყურებათ ყრუებს შენი ხმა,
აამსუბუქებ ყოველივეს და სინათლეში
განიძარცვება სიბნელისგან ყველა ენიგმა!...

განიძარცვება ბინდისაგან ყველა საგანი,
და ვით აკვანი, ზეცის მგვანი კაცთა არსება
შენი „ხელებით“ დაირწევა; შენი „ბაგენი“ –
კვლავ დაიწყებენ ჩვენს გულებთან გაბაასებას...

ხმა ზეციდან

I

არაფერია ყველაფერი, თუკი ვერ ხედავ,
რომ ყველა ჩიხი ოცნებაა ,,ლამაზ ხვალეზე“,
რომ ამ „ხვალესაც“ დღევანდელი ცდა შეეხება,
ცდა რომ ქიმერებს შეერკინო, ანუ ხარვეზებს

ბოლო მოუღო. ყველაფერი არაფერია,
თუკი ჩაგთვლიმა ფიქრისგან და, როგორც დილეტანტს,
თუკი გაწამებს უამრავი კითხვა, დილემა,
თუკი გაკლია რწმენასავით გამოცდილება...

არაფერია ყველაფერი, თუკი არ იცი,
რომ ყველა წუთი ყანა არის, ყანა, რომელიც
ყანა კი არა, კლდე იქნება მხოლოდ დამრეცი,
თუ არ გახდები მშრომელი და მხოლოდ მშრომელი!!!

II

ბრძოლის ჟინი მწარე ფიქრს
წაჰყვა და შორს მინებდა...
გამოღებას კარების
შიში აშოშმინებდა,
მაგრამ უცებ სიოთი
გამახსენდა ქარი და
სიტყვა სულ ორიოდე
შემომესმა გარედან:
თუ სააზრო ბუხარში
ეს აზრებიც გიღვივის:
ცხენმა გვხიბლოს ჭიხვინით,
ჯიხვი ხტოდეს ჯიხვივით,
ლომმა გვაფრთხოს ბუხუნით,
როგორც ზეცამ ქუხილით –
გწამდეს, ვერ გაუღუნეს
კიბე წესრიგს უხილავს!
ამ კიბეზე უხვია
მშვენებათა თაფლები
და ვინც გადაუხვია
კვდება გულის დაფლეთით!
კვდება, რადგან არ ესმის
ერთს მრავალი თავს უხრის,
რასაც კითხვა დაესმის,
მოსდევს თეთრი პასუხიც...
საღი აზრის ჩირაღდანს
უჭირს, მისწვდეს ნაცეცხლით
ხვალეს, „დღეს-ს“ რომ ჩრდილავს და
ჭუჭყისაგან არ რეცხავს!...
რომ ლხინობდე ჭირითაც,
საჭიროა, ჭრილობამ
ცხენის მარდი ჯირითი
და ის, რაც საჭიროა,
ვერასოდეს აჩეროს
კლდეთა მუქი მუქარით.
მაშ, იჩქროლე ჩანჩქერო,
იჩქროლე და უქარო
სივრცეები შხეფების
გარდაჰქმენი სამეფოდ,
სად ხართ, წყლის გამეფების
ბედნიერო წამებო?!
ბედუინი რომ აზის
აქლემებს და იღლება,
მიადგება ოაზისს
და დროც ჩაიწიხლება!...
დეე, ჩაგროს განტვირთვა
მოქცევამ და მიქცევამ,
იგი, ვინც გიგანტია,
გიგანტივით იქცევა!!!
...
სამოთხეა, გაუყვე
გზას, რომელზეც მიზანი
შეიგრძნობა და უხვი
სინაზენი მზისანი...

დუმილი...

2017წ.

პ რ ო ზ ა

მარიამ რაქვიაშვილი

ასეთი პესიმისტი რატომ ხარ?

* * *
- საუკუნის მეხუთედი რომ გავა, როგორი განცდაა?
- ვერაფერს ვგრძნობ საერთოდ.
- მერე, იცი, ვერაფერი როგორ იხატება, ან რომელ ფერებს იყენებენ ვერაფრის დასახატავად?
- ალბათ, ღია ნაცრისფერს, რომელიც ნელ-ნელა ქრება.

* * *
- უკან რომ დაგაბრუნონ, რამეს შეცვლიდი?
- უამრავ რამეს.
- და ახლა ვინც ხარ, ის რომ აღარ იქნებოდი?
- არც მინდა, რომ ის ვიყო, ვინც ვარ…
- რას გააკეთებდი, მეორე შანსი რომ გქონდეს?
- ფიქრებს გაუმხელელს აღარ დავტოვებდი.

* * *
- გჯერა მეორე ცხოვრების?
- სწორედ ისე, როგორც სასწაულების, რომლებიც არ არსებობენ...
- ბედნიერების დაჭერაზე გიფიქრია?
- არა.
- რატომ?
- რადგან ყველაფერი სურვილების საპირისპიროდ ხდება.
- ეგ როგორ?
- როგორ და.... ჩვენი სურვილები ერთმანეთს არასდროს ემთხვევა....

* * *
- შეხვედრიხარ ყველაზე საინტერესო ადამიანს?
- კი...
- ვინ იყო?
- ვისაც ყველაზე ნაკლებად ვაინტერესებდი...
- და ყველაზე მეტად ვის აინტერესებდი?
- ვინც ოდნავად არ იყო საინტერესო.

* * *
- ბედნიერება რა არის?
- რაც არ გაქვს.
- და როცა მიზნებს აღწევ, მაშინ?
- მაშინ მათი ღირებულება მილიონჯერ კარგავს ფასს.

* * *
- რომ ჰყვარებოდი, რას იგრძნობდი?
- სიყვარული გამინახევრდებოდა და ბოლოს გაქრებოდა.
- ასეთი პესიმისტი რატომ ხარ?
- რეალისტი...

* * *
- ყველაზე მეტად რა გიყვარს?
- წერა.
- რატომ?
- ის ერთადერთია, რაც პირდაპირპროპორციულად მიზიდავს...

* * *
- გიოცნებია?
- უიმედოდ.
- რატომ?
- ოცნების ფასიც ეგაა.

* * *
- მილიონი რომ მოიგო, რას გააკეთებდი?
- ყოველგვარ წესსა და კანონს დავივიწყებდი.
- ეგ როგორ?
- საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვრებდი.
- რას გულისხმობ?
- ახლა უამრავი ადამიანის ცხოვრებას ვიზიარებ, მერე კი...

* * *
- ცხოვრება რამდენად მალე გადის?
- საყვარელი საჭმლის ჭამის მსგავსად...
- სად შეაჩერებდი მას?
- ზენიტში.
- და სადაა ცხოვრების ზენიტი?
- როცა ყველაზე დიდ შვებას გრძნობ, ან როცა უეცარი სიხარული, გაკვირვება... გახრჩობს....
- გიგრძნია მსგავსი რამ?
- კი, მაგრამ რამდენიმე წამზე მეტხანს არასდროს გაგრძელებულა.

07.04.2017

ვერტერის როლში

მოპასანის მარტოსულობა რომ მომწონდა, მეჩხუბებოდა ხალხი...
რომ ვამბობდი, ანა ფრანკი რომ არ მომკვდარიყო, აღიარებას ვერ მოიპოვებდა-მეთქი, ლამის იყო, ცოცხლად შევეჭამე ყველას.
როცა ვერტერის აზრებში ვიყავი ჩაძირული და სამყაროს, უბრალოდ, ვაფურთხებდი, ვერავინ მიტანდა...
როცა არ მომწონდა ხალხში ყოფნა, დამცინოდნენ...
და იცით, რას ვაკეთებდი?
უბრალოდ, ვმსახიობობდი...
და როცა ვფიქრობდი, როგორ მომეკლა თავი, ვიღიმოდი და ვითომ ვერთობოდი...
კარგი მსახიობი ვიყავი, მგონი...
იცით, არავის ესმოდა, რომ მარტოსულობისკენ ვიყავი მიდრეკილი ბავშვობიდან! უფრო მეტიც, სხვა არაფერი მინდოდა.
მსიამოვნებდა, როცა ხალხს ვუყვარდი, ოღონდ ერთად და არა ცალ-ცალკე... მე შორეულ სიყვარულს ვაღმერთებდი და არ მინდოდა, ვინმეს გავეცანი და დავვახლოებოდი... და რატომ, იცით? არ მინდოდა, დაენახათ რეალური „მე“, რომელიც საერთოდ არაა ისეთი, როგორიც ჩანს... მინდოდა, დამტკბარიყვნენ იმ შორეული სურათით, რომელიც ლამაზია და არანაირი ნაკლი არ აქვს... მძულდა იმის აღიარება, რომ ადამიანი ვარ და არ ვარ სრულყოფილი... მინდოდა, სწორედ ისეთი გენიალური ვყოფილიყავი, როგორიც ჩემი პერსონაჟები იყვნენ...
ჩემზე ამბობდნენ, შეშლილიაო...
ჰო, ასეც იყო...
რადგან მე ადამიანებს ჭადრაკის ფიგურებად ვუყურებდი, ხომ შემეძლო, ისინი მომეკლა მაშინ, როცა მინდოდა...
წერა მიყვარდა, მიყვარდა ლიტერატურა... და ეს ყველაფერი ჩემში იყო, ვაღმერთებდი წერის პროცესს და შექსპირზე ნაკლებად არ მიყვარდა ის...

8 აგვისტოა...
ვდგავარ ფანჯარასთან და გადახტომაზე ვფიქრობ... აღარ მინდა ცხოვრება... როგორც ჩანს, მეც შემეყარა გოეთეს სენი...
ვჩერდები...
მესამეჯერ შევდივარ ვერტერის როლში... მერე, ანა ფრანკზე ვფიქრობ, ვინ იყო ის ლაწირაკი-მეთქი...
მერე, თავს ვაქნევ...
ანა ფრანკი ისტორიის ნაწილი იყო, წიგნის გარეშეც დარჩებოდა, მე კი...
აქ ვჩერდები, ვიბნევი...
„ჯერ რამე ღირებულს შევქმნი და თავს მერე მოვიკლავ“. – ვიღებ გადაწყვეტილებას და ფანჯარას ვხურავ... ვხვდები, რომ ჯერ არ მიმიღწევია არც ბედნიერების და არც უბედურების კიდისთვის, ჯერ კიდევ ზომიერებაში ვცხოვრობ და თვითმკვლელობის ალში დაწვა ჯერ ადრეა...

08.08.2016

ნინო გიორგაძე – „ნათლობა“, „მეგობრის პორტრეტი“

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

პოეზია

მარინა ცვეტაევა

***

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,
მომწონს. რომ არ ვარ მეც თქვენით ავად...
რომ მძიმე ბურთი დედამიწისა
გრძნობით, გიჟურით, ცაში ვერ ავა,
რომ შემიძლია, ვიყო საღიმი,
არ ვითამაშო თქვენთან სიტყვებით...
და არ გავწითლდე სირცხვილისაგან
თქვენი ოდნავი, ნაზი შეხებით...
მომწონს კიდევ, რომ თქვენ ჩემ წინაშე
მშვიდად ეხვევით ვიღაც მშვენიერს.
რომც დამინახოთ, ვიღაც სხვას ვკოცნი,
ცეცხლს ეჭვისასა არ შემოიგზნებთ...
რომ არ ახსენებთ ნაზად ჩემს სახელს,
არ გახსენდებით არც დღით, არ ღამით
და გამოსულნი ტაძრიდან ახლად,
ჩვენ ვერ მოვისმენთ მილოცვის ძახილს.
მადლობა თქვენ, ჩემს გულსა და ხელებს,
ვერ შევიცანით ჩვენ ერთმანეთი...
არდარღვევისთვის ღამის სიმშვიდის
და არშემდგარი პაემნებისთვის.
გმადლობთ, რომ თქვენით ავად არა ვარ
და არც თქვენ არა ხართ ავად, გლახ, ჩემით...

ანდრეი მაკარევიჩი

მას ღამღამობით ფრენა უყვარდა

ის კარგი იყო, ძალიან კარგი
და იყო მასში გრძნეული სული...
მის ცხოვრებაში გამოჩნდა კაცი,
რად არ მიჰყვება? – ატყდა ჩურჩული...
და, მართალია, ძლიერ უყვარდა,
ერთი რამ მაინც ვერ მოიშალა:
მას ღამღამობით ფრენა უყვარდა,
სიბნელე სძულდა, ღია ფანჯარა...
ჩაის სმისა და ტირილის ფონზე
ფრთის გასაშლელად ემზადებოდა,
დაბრუნებული კი, ალიონზე,
აღარ ვიზამო – იფიცებოდა.
ვეღარც ვარდები, ვეღარც სუნამო
ვერ აკავებდა მიწაზე მის სულს
და წუთისოფლის ყოფა უაზრო
ვერ ედრებოდა სამოთხისეულს...
ერთხელაც ქალი აღარ დაბრუნდა.
ელოდა კაცი სამი დღე-ღამე.
ბოლოს კი ყოფა ისე გახუნდა,
დაფიქრდა კაციც ცაში ფრენაზე.
ფანჯრის რაფიდან მთვარიან ღამით
კაციც ქალივით უცებ გადახტა.
გადაიხადა მან ფასი ასე,
რისთვისაც ყველას გვიწევს გადახდა.

ალექსანდრე პუშკინი

***

მე რეალობად გარდვიქციე ყველა სურვილი,
ყველა ოცნებას უარი ვუთხარ
და დავრჩი მხოლოდ ანაბარად იმ მწველი ტანჯვის,
მუდამ თან რომ სდევს ცარიელ სულთა.
სასტიკი ბედის ქარიშხლის ქვეშე
დამიჭკნა ჩემი ყვავილთ გვირგვინი.
დამწუხრებული და მარტოსული,
ვზივარ და ველი მოსვლას სიკვდილის.
მთლად ცოცხალ-მკვდარი ზამთრის ყინვისგან,
შეშინებული ქარიშხლის სტვენით,
ერთი ფოთოლი მხოლოდ მთელ ტოტზე
ჩუმად ცახცახებს, სიცოცხლეს ეტრფის.

მე თქვენ მიყვარდით!

მე თქვენ მიყვარდით!
სიყვარული, ალბათ, სულში ჯერ კიდევ ცოცხლობს.
გთხოვთ, ნუ მოიწყენთ,
მე არ მსურს, თქვენს გულს ნაღველი მოვცხო...
მიყვარდით ჩუმად, უიმედოდ,
მტანჯველი ეჭვი ახელებდა ჩემს ნაზ სიმორცხვეს...
ისე გულწრფელად, ისე ნაზად მიყვარდით, რომ,
ღმერთმა ქნას, ასე გატაცებით სხვანიც გეტრფოდნენ.

თარგმნა ლალი კუკავამ

ანა ახმატოვა

* * *

დაღონებულხარ. მძიმე სულს თითქოს
უარყოფილი ოცნება ერთვის,
მაგრამ რაც უფრო წყვდიადი გიპყრობს,
მით უფრო მიმზიდველი ხარ ჩემთვის.
ბინძურ ღამეთა წყება, დალევა,
სიზმრის თუ ცხადის გირჩენს იარებს,
მაგრამ ტანჯულმა მწვანე თვალებმა,
ჩანს, ხსნას ღვინოშიც ვეღარ მიაგნეს
და გული ითხოვს სწრაფ სიკვდილს, რომ სულ
დაეხსნას უღელს მძიმე ბედ-იღბლის.
ვინ იცის, ქარი ჩემამდე მოსულ
შენს მერამდენე მუდარას ითვლის...
მე დაბრუნებას გავბედავ როგორ?
სამშობლოს ზეცის მაქვს განაჩენი...
მე გაგიხსენო, – ეს ძალმიძს მხოლოდ,
შენ არც გაბედო ხსენება ჩემი!
როგორ ვილოცო უფალთან შენთვის?!
იზრდება მოკლულ იმედთა რიგი...
მე ტრფობის ისეთ მძაფრ ცეცხლში ვიწვი,
შენც ვერ შეძელი, ჩაგექრო იგი!..

* * *

მე შენს სიყვარულს სულაც არ ვითხოვ,
ის საიმედო ქალს აღარ ელის…
და მენდე, მე შენს მორიგ გულისსწორს,
ეჭვიანობის არა ვწერ წერილს.
მაგრამ მიიღე ეს ბრძნული რჩევა –
აკითხე ხშირად ლექსები ჩემი,
ხომ იცი, საქმროებს, განურჩევლად,
თავაზიანი მოქცევა გშვენით.
ოჰ, სულელ ქალებს, ყველაზე მეტად
რომ უყვართ კაცთა ძლევის ნაყოფი,
რა მძიმე ბედი აქვთ ხოლმე ბედად,
საუბრის სითბოც არ აქვთ სამყოფი.
შენ დაბრუნდები, შენივე ნებით,
ბედნიერება გექცევა გროშად,
რადგანაც სული თუ გაითოშა,
ვეღარ გაათბობ უბრალო ვნებით,..
მაგრამ იმ ღამით, იმ დიად ღამით,
არ მომაკითხო, ჯვარზე გაკრულმა.
რა ძალმიძს! შენს ცრუ ბედნიერებას
ვერაფრის ძალით მე ვერ განვკურნავ.

* * *

მომინახულე, ოღონდაც მოდი,
მტკივა და გეძებ, ჩემს მოამაგეს.
ამ ხელებს ვწირავ მე სითბოს ლოდინს,
საკმარისია! – აღმოხდა ბაგეს.
მელის ყოველღამ ღია სარკმელი,
რომ შევძლო ცქერა შორი გზებისთვის.
გისაყვედურებ უკანასკნელი
და მტკივნეული გაელვებისთვის.
რა შემაშინებს?! ასეთი მკრთალი,
ალბათ, სიკვდილსაც შევებრალები.
საშიში მხოლოდ ღამეა იმით,
რომ მელანდება შენი თვალები.

* * *

დასრულდა, ვეღარ ვიფერებ ღიმილს...
ყინვა და ქარი მიციებს ბაგეს.
ეს დანაკლისი იმედთა რიგის
ახალ სევდიან სიმღერას ბადებს,
ამ სიმღერასაც, ჩემ უნებურად,
მივცემ სიცილსა და აღშფოთებას
და სულს აღვუვლენ მწარე გოდებას
და კვლავ დუმილის ნისლით შევბურავ...

* * *

ვფიქრობდით: არ გვაქვს არაფერი, უქონლები
ვართ...
და როცა მიჰყვა დანაკარგი ერთიმეორეს,
და ყოველი დღე დანაკარგით დაგვამახსოვრდა,
დავიწყეთ შეთხზვა სიმღერების, განსადიდებლად
მაღალი ღმერთის სიკეთის და კეთილი ნების:
რომ გვიცხოვრია ჩვენც ოდესღაც თურმე
მდიდრებად...

ანდრეი ბელი

* * *

ეს უკვე მერამდენედ მიდიხარ.
უნდა დუმილის ცეცხლში ვიწვოდე...
აწი შენს თვალებს ვეღარ ვიხილავ
და ხელსაც აღარ გამომიწოდებ.

აწი ამ დუმილს რითი შევნიღბავ?
შენი თმაც აღარ გაითარეშებს...
და სახლი – ისე მიწყდა შენი ხმა –
დამრჩა სამყოფი სითბოს გარეშე.

ვერ მოვასწარით, გვეგრძნო და გვეთქვა
იმდენი რამე, რაც გულით ითქმის...
შეწყდა გულების საერთო ფეთქვა
და ერთად არც კი უფეთქავთ თითქმის.

ალექსანდრე პუშკინი

* * *

ნუ! ნუ იმღერებ, ძვირფასო, ჩემთან
ქართული მიწის სევდიან ჰანგებს...
რადგან შორეულ ნაპირთან ერთად
მაგონებს ყოფას სხვასა და სხვაფერს.
არა! უხეში დამღერებები
მაგონებს ველებს, ღამის აგონებს,
ხოლო, თუ მთვარის შუქს ვეგებები,
შორ და საბრალო ქალწულს მაგონებს.
საბედისწერო და ძვირფას აჩრდილს
შენი დანახვა მავიწყებს უმალ,
მაგრამ შენ მღერი, მღერი და მაშინ
აჩრდილიც მყისვე ბრუნდება უკან...
ნუ! ნუ იმღერებ, ძვირფასო, ჩემთან
ქართული მიწის სევდიან ჰანგებს...
რადგან შორეულ ნაპირთან ერთად
მაგონებს ყოფას სხვასა და სხვაფერს.

თარგმნა გიორგი კახიშვილმა

ვიქტორ პელევინი

ზიგმუნდი კაფეში

ამ უსიცოცხლო ქანდაკებათა სწორი,
გაქვავებული სახეების მიღმა
არცთუ იშვიათად იმალებიან ლაბირინთები,
ბზარებითა და სიცარიელით,
რომლებშიც მრავალი სახის ფრინველი ცხოვრობს.

ჯოზეფ ლევენდერი, „აღდგომის კუნძული“

მის მეხსიერებას არც კი ახსოვდა ასეთი ცივი ზამთარი ვენაში. ყოველ ჯერზე, როდესაც იღებოდა კარი და კაფეში ცივი ჰაერის პატარა ქულა შეფრინდებოდა, ტანში სიცივის ჟრუანტელი უვლიდა. კარი საკმაოდ დიდხანს აღარ შეღებულა და ზიგმუნდი ბებრულმა თვლემამ წაიღო, მაგრამ, აი, კარი ისევ გაჯახუნდა და ზიგმუნდმა თავი ასწია. კაფეს ორი ახალი სტუმარი ეწვია – ბაკენბარდებიანი ბატონი და მაღალშინიონიანი ქალბატონი. ქალბატონს ხელში გრძელი, წვეტიანი ქოლგა ეჭირა. ბატონს ქალის პატარა ჩანთა მოჰქონდა, შავად მბრწყინავი ბეწვით გაწყობილი და გამდნარი ფიფქებით ოდნავ დაცვარული. სტუმრები საკიდთან შეჩერდნენ და ქურქების გახდა დაიწყეს – ბატონმა თავისი ქურთუკი საკიდის კაუჭს მოარგო, შემდეგ სცადა, ქუდი თითის წვერებზე აწევით საკიდის მაღლა, კედლიდან გამოშვერილ ხის გირჩზე ჩამოეკიდა, თუმცა ვერ მისწვდა და მის ხელებს დაცილებული ქუდი იატაკზე დაეცა. მამაკაცმა რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა, ქუდი აიღო და მაინც გირჩზე დაკიდა. სულ რაღაც ორიოდ წამის შემდეგ იგი ქალბატონის ზურგს უკან იდგა და ქურქის გახდაში ეხმარებოდა. ქურქისაგან განთავისუფლებულმა ქალმა მადლიერად გაუღიმა მამაკაცს, ჩანთა გამოართვა და სევდიანად დახედა – საკეტი გახსნილიყო და ჩანთა თოვლით გამოტენილიყო. ქალბატონმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა, ქოლგას კი კუთხეში მიუჩინა ადგილი, რატომღაც ამოატრიალა სახელურით იატაკისკენ, მეწყვილეს ხელკავი გაუყარა და მასთან ერთად დარბაზისაკენ დაიძრა.

– ოჰო, – ხმადაბლა თქვა ზიგმუნდმა და თავი დააქნია.

კედელსა და ბარს შორის, არც ისე შორს იმ მაგიდისაგან, რომლისკენაც ბაკენბარდებიანი მამაკაცი და მისი მეწყვილე მიემართებოდნენ, პატარა, ცარიელი კუთხე იყო, სადაც დიასახლისის შვილები ერთობოდნენ – რვა წლის ბიჭუნა, რომელსაც შავი რომბებით მოხატული თეთრ სვიტერი ეცვა და ოდნავ უმცროსი გოგონა, მუქი კაბითა და რეიტუზით. მათთან ახლოს, იატაკზე კუბიკები ეწყო და ნახევრად დაშვებული რეზინის ბურთი გორავდა.

ბავშვები გამორჩეულად კარგად იქცეოდნენ: ბიჭუნა დიდი, კუთხეებში ფერადი ნახატებით გაფორმებული კუბიკებით ერთობოდა. ის მეტად უცნაური ფორმის სახლს აშენებდა, შუაში საფანჯრე ადგილით. შენობა მუდმივად ინგრეოდა, რადგან ბიჭუნა ზედმეტად დიდ ადგილს ტოვებდა საფანჯრედ და ზედა კუბიკი ყოველ ჯერზე ვარდებოდა. ყოველთვის, როცა შენობა იშლებოდა, ბიჭუნა ბინძური თითით ცხვირის ქექვას შეუდგებოდა და ცოტა ხნის შემდგომ ისევ თავიდან იწყებდა შენებას. გოგონა ძმის პირდაპირ იჯდა და უინტერესოდ უყურებდა მას, თავად კი პატარა მონეტებით თამაშობდა – ხან გააბნევდა მთელ იატაკზე, ხან ისევ შეაგროვებდა ერთ ადგილას. ცოტა ხანში მობეზრდა ეს გასართობი და თავი მიანება, გვერდზე გადაიწია, მისწვდა ფეხებში უახლოეს სკამს, თავისკენ მიიჩოჩა და დაიწყო სკამის იატაკზე სრიალი ისე, რომ იგი ბურთს შეხებოდა. ერთ-ერთი შეხება ზედმეტად ძლიერი გამოდგა, ბურთი პირდაპირ მისი ძმისაკენ გაგორდა და მისი ახლად აშენებული სახლი ზუსტად იმ მომენტში დაანგრია, როცა ყველაზე მაღალ წერტილში ათავსებდა უკანასკნელ კუბიკს, რომელზეც ფორთოხლებიანი ტოტი და სახანძრო კოშკი იყო გამოსახული. ბიჭუნამ მძიმედ ასწია თავი და მუქარის ნიშნად გოგონას მუშტი უჩვენა. პასუხად გოგონამ ენა გამოუყო და იმდენად დიდხანს დატოვა გარეთ, რომ მსურველი მას დეტალურადაც კი შეისწავლიდა.

– ოჰო, – ჩაილაპარაკა ზიგმუნდმა და მზერა ბაკენბარდებიან ბატონსა და მის ქალბატონზე გადაიტანა.

მათ უკვე მიართვეს მსუბუქი საკვები. მამაკაცი მოლუსკებს მიირთმევდა. ნიჟარებს თავდაჯერებულად ხსნიდა პატარა ვერცხლისფერი დანით და რაღაცას ეუბნებოდა მეწყვილეს, რომელიც უღიმოდა და თავს უქნევდა, პირისაკენ კი სოკოს გზავნიდა – სათითაოდ არჭობდა ორკბილიან ჩანგალს სოკოებს და სქელ, ყვითელ სოუსში ავლებდა. ბატონმა ბოთლის ზედა ნაწილი შეახო ჭიქის ზედაპირს, შემდეგ ბოთლი მაღლა ასწია, თეთრი ღვინო დაისხა, შესვა და სუპით სავსე მათლაფას გადასწვდა.

ოფიციანტმა მათ მაგიდაზე გრძელი, შემწვარი თევზი მიიტანა. თევზის შეთვალიერების შემდეგ ქალბატონმა ხელის გული შუბლზე მიირტყა და კავალერს მიმართა. მამაკაცმა შეხედა, უსმინა ცოტა ხანს და უნდოდ დაიმანჭა. შემდეგ კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დაისხა და დალია. მამაკაცმა ფრთხილად დაიწყო სიგარეტის გასწორება წითელ მუნდშტუკში, რომელიც უსახელო და საჩვენებელი თითებით ეჭირა.

– ოჰო, – თქვა ზიგმუნდმა და მზერა შეაჩერა შორეულ კუთხეზე, სადაც დიასახლისი და ძლიერი აღნაგობის ოფიციანტი იდგნენ.

სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ბნელოდა, ნათურა გადამწვარიყო. დიასახლისი დოინჯშემოყრილი უყურებდა გადამწვარ ნათურას. ამ პოზისა და მისი სხვადასხვა ფერის ზიგზაგებით გაფორმებული წინსაფრის გამო ის ანტიკურ ამფორას ჩამოჰგავდა. ოფიციანტმა უკვე მოიტანა გრძელი კიბე, რომელიც ახლა ცარიელ მაგიდასთან იდგა. დიასახლისმა შეამოწმა, რამდენად მყარად იდგა კიბე, დაფიქრებულმა მოიფხანა თავი და რაღაც უთხრა ოფიციანტს. ეს უკანასკნელი მობრუნდა და ბარს მიუახლოვდა. იგი ბარს მოეფარა და ცოტა ხანში საერთოდ აღარ ჩანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ოფიციანტი წელში გასწორდა და დიასახლისს წაგრძელებული, მბრწყინავი ნივთი აჩვენა. დიასახლისმა ენერგიულად დაუქნია თავი და ოფიციანტიც მასთან დაბრუნდა. ხელი, რომელშიც ნაპოვნი ფარანი ეჭირა, მან ზევით მიმართა, მაგრამ უარყოფის ნიშნად დიასახლისმა თავი გააქნია და მას თითით იატაკისკენ უჩვენა.

ცარიელი მაგიდის გვერდზე, იატაკზე, კვადრატი იყო ამოჭრილი, თითქმის შეუმჩნეველი, რადგან იგი დანარჩენი იატაკის მსგავსი პარკეტით იყო მოპირკეთებული. მისი შემჩნევა მხოლოდ იმ პატარა სახელურის წყალობით იყო შესაძლებელი, რომლითაც მას ზემოთ სწევდნენ.

მუხლებზე მდგარმა ოფიციანტმა მკლავები დაიკაპიწა და თავსახური ერთი ძლიერი მოძრაობით მოხადა. დიასახლისმა ოდნავ წაიბორძიკა. ოფიციანტმა კიდევ ერთხელ შეხედა მას, დიასახლისმა კი კიდევ ერთხელ დაუქნია ენერგიულად თავი, რის შემდეგაც ოფიციანტი ნელ-ნელა დაეშვა სარდაფისკენ. ჩანს, იატაკის ქვეშ კიბე უნდა ყოფილიყო, რადგან ოფიციანტი მცირე ნაბიჯებით უჩინარდებოდა შავი კვადრატის სიღრმეში. თავდაპირველად მას თავად ეჭირა თავსახური, საკმარისად ღრმად ჩასვლის შემდეგ კი მას დიასახლისი მიეხმარა, წინ გადაიხარა, ცხვირზე ორი თითი მოიჭირა და დაძაბული ჩააშტერდა შავ ხვრელს, რომელშიც მისი თანამშრომელი გაქრა.

გარკვეული დროის შემდეგ ოფიციანტის თეთრი წინსაფარი, ამჯერად უკვე ობობის ქსელითა და მტვრით დასვრილი, კვლავ გამოჩნდა იატაკის ზედაპირზე. ხვრელიდან ამოსულმა ოფიციანტმა თავდაჯერებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კიბისაკენ, თუმცა დიასახლისის მზერამ იგი შეაჩერა და მოაბრუნა. ქალმა მისი წინსაფარი ხელის რამდენიმე, ძლიერი მოძრაობით ჩამოფერთხა, ნათურა გამოართვა და სათუთად დაატრიალა ხელის გულზე. კმაყოფილი დიასახლისი კიბეზე ავიდა. პირველ საფეხურზე მყოფი დაელოდა, სანამ ოფიციანტი კიბეს მყარად არ დაიჭერდა და ჭერისაკენ დაიძრა.

გადამწვარი ნათურა დიასახლისს თასმით დაბლა დაშვებული ჭაღიდან უნდა ჩამოეხსნა, შესაბამისად, მაღალზე ასვლა მას არ მოუწია. ექვსი საფეხურის ავლის შემდეგ დიასახლისმა ნათურის მოხსნა სცადა, თუმცა ნათურა ზედმეტად მყარად იყო დამაგრებული და ჭაღმა თავისი თასმითურთ აქეთ-იქეთ ტრიალი დაიწყო. მაშინ დიასახლისმა ახალი ნათურა პირისაკენ წაიღო და ფრთხილად შემოაჭდო ტუჩები, გაითავისუფლა მეორე ხელი, რომლითაც ჭაღი დაიჭირა. რამდენიმე წამში დიასახლისი გადამწვარ ნათურას წინსაფრის ჯიბეში იდებდა, ახალს კი ჭაღს არგებდა. ოფიციანტი დაძაბული აკვირდებოდა დიასახლისის ფუმფულა ხელისგულების მოძრაობას და დამშრალ ტუჩებზე პერიოდულად ენას ისვამდა. უცბად ბნელი ჭაღის ქვეშ სინათლე გაკრთა. ოფიციანტი შეკრთა და წამით მოადუნა ყურადღება. კიბის ბოლოები ერთმანეთს დასცილდა და დიასახლისი კინაღამ ხელების ქნევით დაენარცხა იატაკზე. ოფიციანტმა უკანასკნელ მომენტში მოასწრო კიბის დაჭერა. სამი-ოთხი საფეხურის წარმოუდგენელი სისწრაფით ჩამორბენის შემდეგ შეშინებული დიასახლისი იატაკზე ჩამოხტა და ძალმილეული მიყუჩდა ოფიციანტის მკლავებში.

– ოჰო, ოჰო!! – წამოიყვირა ზიგმუნდმა და ყურადღება კვლავ მაგიდასთან მსხდარ წყვილზე გადაიტანა.

ქალბატონს ამასობაში დესერტზე გადასვლაც მოესწრო – მის ხელში ჩანდა კრემიანი ნამცხვარი, რომელსაც იგი პატარ-პატარა ლუკმებით მიირთმევდა. იმ წუთას, როდესაც ზიგმუნდმა მას მზერა სტყორცნა, ქალბატონი შედარებით დიდ ლუკმას ეჭიდებოდა – მან ნამცხვრის დარჩენილი ნაწილი მთლიანად წაიღო პირისაკენ. კბილების მოჭერის შედეგად ნამცხვრის უკანა ნაწილიდან კრემმა იწყო გადმოსვლა. ბაკენბარდებიანმა მამაკაცმა იყოჩაღა და ნამცხვრისაგან თავდაღწეული სქელი, თეთრი კრემი მაგიდის ზედაპირის ნაცვლად მის მომრგვალებულ ხელისგულზე აღმოჩნდა. ქალს სიცილი აუტყდა. მამაკაცმა ხელისგული პირისაკენ წაიღო და ენის რამდენიმე მოძრაობით მოასუფთავა, რამაც მის მეწყვილეს სიცილისათვის ახალი და იმდენად შედეგიანი მიზეზი მისცა, რომ ქალმა ვეღარ შეძლო ნამცხვრის ბოლომდე გადაყლაპვა და ნარჩენი თევზისჩონჩხიან თეფშზე მოისროლა. ხელისგულმოსუფთავებულმა მამაკაცმა მაგიდის ზედაპირზე ქალბატონის ხელი დაიჭირა და მგრძნობიარედ აკოცა, ქალმა კი ასწია ოქროსფერღვინიანი ჭიქა და პატარ-პატარა ყლუპებით შესვა. ასეთი თავგადასავლის შემდეგ მამაკაცს მოწევა მოუნდა – მან სიგარეტის ღერი თავის წითელ მუნდშტუკში დაამაგრა, რამდენჯერმე ძლიერად მოქაჩა და კვამლი რგოლებად გამოუშვა.

ეჭვგარეშეა, იგი ამ რთული ხელოვნების დიდოსტატი უნდა ყოფილიყო. თავიდან ერთი დიდი რგოლი გააკეთა კვამლისაგან, შემდეგ – უფრო მცირე, რომელიც დიდი რგოლის ზუსტად შუაში გაძვრა. ხელის მოქნევით გაანადგურა თავისი კვამლის კონსტრუქცია და ორი ახალი რგოლი ამოუშვა. ამჯერად ისინი ზუსტად ერთი ზომისანი იყვნენ და ერთიმეორის მიმართ თითქმის ზუსტი რვიანის პოზიციით განლაგდნენ.

მისი მეწყვილე ყურადღებით აკვირდებოდა მომხდარს და თევზის ნარჩენ თავს მექანიკურად ურტყამდა მცირე ზომის ხის ჯოხს.

მოგროვების შემდეგ მამაკაცმა კიდევ ერთხელ ამოუშვა კვამლი ორი სწორი ხაზის სახით. მათგან ერთ-ერთი უკვე ჰაერში მყოფი რვიანის ზემოთ შეჩერდა, მეორე კი ქვემოთ და ოდნავი შეხების შედეგად ყოველივე ლურჯი, ამღვრეული კვამლის გორგლად იქცა. ქალბატონმა ტაში შემოჰკრა.

– ოჰო! – ახლა უკვე დაიყვირა ზიგმუნდმა და მისკენ მობრუნებულმა მამაკაცმა იგი ინტერესით შეათვალიერა.

ზიგმუნდმა მზერა ისევ ბავშვებისაკენ გადაიტანა. როგორ ჩანს, რომელიღაცამ სათამაშოების ახალი პარტიის მოტანა მოასწრო. კუბიკებისა და ბურთის გარდა, მათ გარშემო ახლა უკვე გაჩეჩილი თოჯინები და პლასტელინის ნაჭრები ეყარა. ბიჭუნა ისევ კუბიკებით საქმიანობდა, ოღონდ ამჯერად იგი არა სახლს, არამედ გრძელ კედელს აშენებდა, რომელზეც გარკვეული მანძილის დაშორებით პატარა მეომრები იდგნენ დიდი, წითელი მუზარადებით. კედელში რამდენიმე შესასვლელი იყო დატოვებული. თითოეულ მათგანს სამი მეომარი იცავდა: ერთი გარედან, ორი კი შიგნიდან. კედელს მრგვალი ფორმა ჰქონდა. მის შიგნით, ოთხკუბიკიან დასადგამზე იდო ბურთი, რომელიც იატაკს არ ეხებოდა. გოგონა ძმას ზურგით ეჯდა და სათამაშო თუთიყუშს კუდზე კბენდა.

– ოჰო! – აღელვებით დაიყვირა ზიგმუნდმა – ოჰო! ოჰო!

ამჯერად მას არა მხოლოდ ბაკენბარდებიანი მამაკაცი მიაშტერდა, რომელიც თავის მეწყვილესთან ერთად უკვე საკიდთან იდგა და იცვამდა, არამედ დიასახლისიც, რომელიც გრძელი ჯოხით ფანჯრებთან ფარდებს ასწორებდა. ზიგმუნდმა მზერა დიასახლისზე გადაიტანა, დიასახლისიდან კი კედელზე, რომელზეც რამდენიმე ნახატი ეკიდა: ბანალური – გემი მთვარისა და ზღვის გზამკვლევების ფონზე, და კიდევ ერთი, უზარმაზარი, აქ გაურკვეველი გზით აღმოჩენილი ავანგარდული ნახატი – ორი გახსნილი როიალი, რომლებშიც იწვნენ მკვდარი ლუის ბუნუელი და სალვადორ დალი, უცნაურად გრძელი ყურებით.

– ოჰო! – მთელი ძალით დაიყვირა ზიგმუნდმა – ოჰო! ოჰო!! ოჰო!!!

ახლა მას უკვე ყოველი კუთხიდან უყურებდნენ და არა მარტო უყურებდნენ: ერთი კუთხიდან მას უახლოვდებოდა დიასახლისი, გრძელი ჯოხით ხელში, მეორიდან – ბაკენბარდებიანი ბატონი, რომელსაც ხელში ქუდი ეჭირა. დიასახლისის გამომეტყველება, როგორც ყოველთვის, უჟმური იყო, ბაკენბარდებიანი ბატონის კი პირიქით, ცოცხალ ინტერესს გამოხატავდა ზიგმუნდის მიმართ. მათი სახეები ორივე კუთხიდან ახლოვდებოდნენ და მალე ზიგმუნდს კაფეს მთლიანი ხედი დაუფარეს. ზიგმუნდმა თავი ცოტა უხერხულად იგრძნო და, ყოველი შემთხვევისათვის, ფუმფულა გორგალში ჩაიმალა.

– როგორი ლამაზი თუთიყუში გყავთ! – მიმართა ბაკენბარდებიანმა მამაკაცმა დიასახლისს – კიდევ რა სიტყვები იცის? რისი თქმა შეუძლია?

– ბევრი რამ იცის, – უპასუხა დიასახლისმა. – აბა, ზიგმუნდ, მიდი, გვითხარი კიდევ რაიმე.

მან ხელი ასწია და სქელი თითის წვერი გალიაში შეყო.

– ზიგმუნდი კარგი ბიჭია! – მონდომებით თქვა ზიგმუნდმა და ყოველი შემთხვევისათვის გალიის შორეულ კუთხეში გადაინაცვლა. – ზიგმუნდი ჭკვიანი ბიჭია!

– ჭკვიანია, ჭკვიანია, – თქვა დიასახლისმა. – მაგრამ გალია სულ მოსვარა! სუფთა ადგილსაც კი ვერ მონახავ.

– ნუ იქნებით ასეთი მკაცრი საბრალო ფრინველის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი გალიაა და არა თქვენი. – წარმოთქვა ბაკენბარდებიანმა ბატონმა, რომელიც თან თმებს ისწორებდა. – მასში ზიგმუნდი ცხოვრობს.

როგორც ჩანს, ორიოდ წამის შემდეგ ვულგარულ დიასახლისთან საუბარმა თავი უხერხულად აგრძნობინა. მამაკაცმა გაქვავებული სახე მიიღო, დაიხურა ქუდი და გასასვლელისაკენ გაემართა.

თარგმნა გიორგი კახიშვილმა

ESE, PUBLICISTIKA

თეონა მახარაშვილი

ტექნოლოგიების როლი ადამიანის ცხოვრებაში

გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა თუ არა პრომეთემ, როდესაც კაცობრიობას „აკრძალული ხილის“ სახით ცეცხლი ჩამოუტანა? ძვ.წ. მე-8 საუკუნეში მოღვაწე ეპიკოს, ჰესიოდესთვის რომ გეკითხათ, გიპასუხებდათ, რომ ეს ასეა, თუმცა ყველაფერს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მათ შორის ცეცხლის ჩამოტანასაც და იმასაც, რასაც დღეს მაღალ ტექნოლოგიებს ვუწოდებთ.

კაცობრიობა ვითარდება, დრო მიდის, ადამიანის გონებრივი განვითარება ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე საუკუნეების წინ იყო. ცეცხლის დანთება, ბორბლის გამოგონება თუ ელექტროენერგიისა მიმართული იყო იმისკენ, რომ ადამიანის ცხოვრება უფრო კომფორტული გამხდარიყო. უკანასკნელი ორი საუკუნე განსაკუთრებული აღმოჩნდა ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, შეიქმნა ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი.. მათი ძირითადი როლი ისაა, რომ ადამიანს შედარებით მეტი დრო დააზოგვინოს. ცხადია, უფრო მარტივი და კომფორტულია, კომუნიკაცია დაამყარო მეგობართან მობილური ტელეფონის მეშვეობით, უფრო სწრაფად აცნობო მნიშვნელოვანი სიახლე, ვიდრე გაუგზავნო წერილი ფოსტით, რომელიც მეტი დროის ხარჯვასა და ნაკლებ კომფორტულობასთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს მობილური ტელეფონი ეხმარება დროის დაზოგვაში, მისი უარყოფითი მხარე ისაა, რომ ისინი დამოკიდებულნი გახდნენ მასზე და თუ შეიძლება, მობილურით მოიკითხო მეგობარი, ამცნო სიახლეები შენი ცხოვრებისა, რატომღა არის საჭირო პირადად მოინახულო იგი? გამოდის, რომ მეტად კარჩაკეტილნი ხდებიან და ეს შემდგომ ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნის მათ, რაც გამოიხატება მუდმივ გაღიზიანებულ მდგომარეობაში და ა.შ.

დღეს უფრო აქტუალურია ინტერნეტის როლი ადამიანის ცხოვრებაში, რადგან მან მრავალი სიკეთე მოუტანა კაციობრიობას. ადამიანებს შეუძლიათ, სახლიდან გაუსვლელად გადაიხადონ გადასახადები, დაჯავშნონ მათთვის სასურველი გასართობი ადგილები თუ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ახლობლები დაინახონ, დაელაპარაკონ. უფრო მეტიც, თუ ადრე ადამიანებს უწევდათ ბიბლიოთეკებში დიდი დროის გატარება, რათა სასურველი წიგნი წაეკითხათ, ახლა მათ ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ გააკეთონ ეს. კომპიუტერის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, რადგან იგი უფრო მეტად კომფორტულსა და მოსახერხებელს ხდის მას. ახლა შეგვიძლია, ნებისმიერი მხატვრის შედევრი მუზეუმში წაუსვლელად ვიხილოთ. ახლა ადამიანებს აქვთ უამრავი სახის ინფორმაცია, რომელთა ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე იყო წინათ. თუმცა, მიუხედავად მრავალი დადებითი კუთხისა, კომპიუტერს უარყოფითი მხარეც ბევრი აქვს: პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც კომპიუტერთან დიდხანს მჯდომ ადამიანს უჩნდება, იგი დამოკიდებული ხდება მასზე, იზოლირებულ გარემოს ქმნის, ერთგვარ ბარიერს, რომლის გადალახვის უფლება არავის აქვს. აბსოლუტურად ინდიფერენტულია, ნაკლებ ემოციური, მოზარდებზე განსაკუთრებით ცუდად აისახება ეს, რადგან ისინი სწავლასა თუ ნებისმიერ სიახლეზე უარს ამბობენ. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფიზიკური პრობლემები – კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა ზრდის რისკს გულსისხლძარღვთა დაავადებებისას, იგი, ხშირ შემთხვევაში, არის მიზეზი უძილობისა, რომელსაც მთელი რიგი პრობლემებისა მოსდევს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიური პროგრესის მაგალითებისა, მნიშვნელოვანია ტელევიზიის როლიც – ის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რათა ადამიანი გაეცნოს როგორც თავის, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარ სიახლეებს. საინტერესოა, უფრო კომფორტულიც, სხვადასხვა შემეცნებითი გადაცემის ყურება, რომელიც ადამიანის თვალსაწიერს უფრო მეტად ზრდის, თუმცა ტელევიზორის ყურება არც ისე დადებითად აისახება ადამიანის ნერვულ სისტემაზე, რადგან მას მუდმივად ესმის ომების, მკვლელობების, სხვადასხვა სისასტიკის შესახებ, რომლებიც მის ქვეცნობიერში ილექება და მის ემოცურ ფონზე არსებული უარყოფითი ინტროექტები ძალიან უარყოფითად მოქმედებს.

ძველი რომაელები ამბობდნენ: *Tempora mutantur et nos mutamur cum filis* – დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად. კაცობრიობა ვითარდება, დრო მიდის, ადამიანებს უჩნდებათ სხვადასხვა ახალი მოთხოვნილება, მათ სურთ, თავიანთი ცხოვრება მეტად კომფორტული გახადონ, ეს, ცხადია, კარგია, თუმცა ყველაფერში ადამიანმა უნდა დაიცვას ზომიერება. ტექნოლოგიები იქმნება მათი ცხოვრების კეთილმოწყობისთვის და არა იმისთვის, რომ თავად მათ მიერ შექმნილმა მოუღოს ბოლო მათსავე სიცოცხლეს.

ციური გვენეტაძე

ადამიანი დროისა და სივრცის გარეთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება განსაკუთრებული სიღრმითა და მრავალშრიანობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მისი სამყარო – მისი პუბლიცისტური თუ მხატვრული ქსოვილი, მისი ემპირიულ დროსა და სივრცეში გამაოგნებლად მრავალფეროვანი მოღვაწეობა მრავალგზის არის შესწავლილი, შეფასებული და ძალიან ზუსტად, ისე, რომ სათქმელიც აღარ რჩება თითქოს. სწორედ ეს ფარული მრავალშრიანობა იწვევს სურვილს, კიდევ ერთხელ შევიდეს მკვლევარი ამ სახეთა და აზრთა ოკეანეში და მწერლის სიტყვის კვალდაკვალ ეძებოს, იფიქროს.

ინტერპრეტაცია არის ძალიან საფრთხილო და ფაქიზი მოვლენა, რომელმაც ბევრი რამ შეიძლება გააფუჭოს და მცდარი ინტერპრეტაცია კი საერთოდ დამანგრეველი ძალის მქონეა, მაგრამ ინტერპრეტაციულობა, ამავე დროს, ტექსტის სიცოცხლის პირობაცაა. ცოცხალი ქსოვილი მუდმივად იწვევს მისი უფრო ღრმად წვდომის, გაგების, გათავისების სურვილს. ტექსტი მანამ ცოცხლობს, სანამ მისი სხვადასხვა რაკურსიდან დანახვა, სანამ მასში სხვადასხვა კარიდან შეღწევის იმპულსიც არსებობს. საპირისპირო დამოკიდებულება, თუნდაც კარგი და კეთილშობილური აკადემიური მიზნებით აღძრული, ,,კლავს" მხატვრულ სამყაროს. ამ ნიადაგზე შეიძლება გაძლიერდეს ის დამოკიდებულება, რომ ბევრი ტექსტი მოკვდა. აქედან აღიძრა ძალიან ნეგატიური ტერმინი ,,მკვდარი ტექსტები", რომელიც, სამწუხაროდ, გაჩნდა ძალიან ცოცხალ და ძლიერ მხატვრულ სამყაროებთან მიმართებით, და რომელსაც მიზნად აქვს, ბევრი გაყინულ ლოდად წარმოაჩინოს, რომელში შეღწევის სურვილი აღარავის აღეძვრის – ისინი არსებობს, დაზეპირებული, მრავალგზის განხილული, დაკანონებული და აღარანაირი პოლემიკა, ფიქრი აღარაა საჭირო, ანუ მხატვრული სამყარო მოკვდა, დაასრულა დროში ახლებურად მუდმივად გაცოცხლების დიდი მისია. ერთ-ერთი საპირწონე ამ მოვლენისა, ალბათ, ინტერპრეტაცია და, თუნდაც, სადისკუსიო აზრის გაჩენაცაა.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სამყაროში ზუსტი და ნათელია ყველაფერი, შესისხლხორცებული და საკუთარი სამყაროს ნაწილად ქცეული. მისი ყოველი ახალი წაკითხვა ადასტურებს წინა მკვლევართა შესანიშნავი ღრმა ნააზრევის სისწორეს, სიღრმეს, არგუმენტირებულობას. ამავე დროს, მუდმივად აჩენს საფიქრალსაც – სავარაუდოდ, ესეცაა მისი სიცოცხლის, მუდმივი თანამედროვეობის, დროის ყოველ პლასტთან ჰარმონიულად შეწყობის და სათქმელის ჩარჩოების გაფართოების დამადასტურებელი.

ილიას მხატვრული ქსოვილის შეცნობისას უნებურად იბადება ემპირიულ დროსთან მისი დამოკიდებულების გააზრების სურვილი. ეს საკითხი – ილია ჭავჭავაძის მხატვრული დრო და სივრცე – საკმაოდ შესწავლილია. მას ვრცლად მიმოიხილავს ირმა რატიანი თავის ნაშრომში „ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში". ამ რიგის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში" ლადო მინაშვილიც, რომელმაც ამომწურავად შეისწავლა მწერლის მთელი მრავალპლანიანი სამყარო.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული დროის გააზრებისას წარმოიშობა აზრი, არიან თუ არა მის ქსოვილში დროისა და სივრცის გარეთ მყოფი ადამიანები, თუ არიან, მუდმივად თუ მხოლოდ ფრაგმენტულად, და თუ მაინც არიან, რა იწვევს ამ ხანმოკლე ან მუდმივი ზედროულ-ზესივრცული არსებობის განცდას, რა მხატვრულ მიზანს ემსახურება ასეთი პერსონაჟი.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში არცთუ იშვიათად არიან ისეთი პერსონაჟები, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს წევრები გახლავთ საზოგადოებისა, მაგრამ მაინც დროისა და სივრცის მიღმა არსებობენ.

პირველ რიგში, პოემა „განდეგილი" წარმოაჩენს ასეთ შინაგან სამყაროს და სწორედ ამ განკეცრძოებულობის, ზედროულობის რღვევაა ტრაგიკულ მოვლენათა საფუძველიც. მთავარ მოქმედ პირს „საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია", განშორებია, როგორც ცოდვათა სადგურს, სადაც ბოროტება მეფობს და სადაც ადამიანებს შანსი არ აქვთ, ეშმაკის მახეებს გაექცნენ. მისი აზრით, წუთისოფელში ყოველი ნიჭი მაცდურებაა, და თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა. ბერს ყველა განუგდია გულიდან და წასულა მყინვარზე – ის შეძლებისდაგვარად სივრცეშიც დაშორდა მიწიერი კანონებით აგებულ სივრცულ მოდელებს. ტყუილად როდი ცხოვრობს იგი მყინვარზე. თვით მყინვარი ხომ სახეა დიდებისა და უკვდავებისა, ზედროულობისა. მაგრამ „რად მინდა მისი დიდება?! – წერს ილია – ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგას, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი."

მყინვარზე დრო ჩერდება, ადამიანი დროის მიღმა გადის, მეტაფიზიკურთან მაქსიმალური მიახლოება აქვე, მიწაზე, მხოლოდ განცალკევებულ სივრცეში და, ფაქტობრივად, შეჩერებულ დროში შეიძლება. ბერი რაღაცით ჩამოჰგავს მყინვარს. განრიდებია ამ წუთისოფელს, ამოუშლია გულიდან ყველა, მასთან არ მიდის ქვეყნის წუხილის ხმა, ვერ აღწევს ქვეყნის ამონაგმინი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ განდეგილი არ დარდობს ქვეყანაზე, აკი ევედრება წვიმისას ღვთისმშობლის ხატს, არ წარწყმიდოს ქვეყანა.

განდეგილი იმდენადაა მოშორებული საზოგადოებას, რომ მასზე ხალხში ლეგენდები დადის. ასე გაიგო მწყემსმა ქალმაც მამისგან, რომ მონასტერში ვიღაც ბერი იყო, სხვა ცნობა ამ ადამიანზე არანაირი არ აქვთ. ერსა და ბერს ერთმანეთთან კავშირი გაუწყვეტიათ. განდეგილი გვეხატება როგორც დროისა და სივრცის მიღმა მყოფი ადამიანი, რომელსაც სულისთვის ხორცი უწამებია და იმხელა მადლისთვის მიუღწევია, რომ ლოცვისას მზის სხივი ლოცვანს უჭერდა და ამით ბერი საკუთარ ძალას ამოწმებდა. სასწაულით რწმუნდებოდა და ძლიერდებოდა.

ბერი იმდენადაა მოწყვეტილი დროს, რომ არ იცის, რამდენი წელია, რაც განდეგილობაშია. ვერ პასუხობს მწყემსის კითხვაზე, რადგან ის ჟამთა სვლას არ ითვლის. მასთან ვერ აღწევს ქვეყნის ავი და კარგი. გოგონა კითხვას უსვამს განდეგილს: „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“ კითხვაზე ბერი ვერ პასუხობს. მიუხედავად ყველაფრისა, ბერმა იცის, რომ ხსნა ყველგანაა. განდეგილი იღუპება, როცა მისი სივრცული ავტონომია ირღვევა და ემპირიული დრო იჭრება მის მეტაფიზიკურ მოდელში. დაღუპვა გარდაუვალი აღმოჩნდა, მიუხედავად იმასა, რომ სულის ხსნა კვლავ შეეძლო. მან იხილა ისევ ღვთისმშობლის სახე და პოტენციურად ისევ ჰქონდა საშუალება, ამაღლებულიყო მიწიერზე, მაგრამ ვერ იხილა სასწაული, რომელსაც, როგორც უფალი ამბობს, უკეთური მოდგმა ეძიებს. ბერი სასოწარკვეთილებაში ვარდება და ამას მოჰყვება სწორედ როგორც სულიერი, ისე ხორციელი სიკვდილი. ადამიანის დროისა და სივრცის გარეთ გასვლა ამ შემთხვევაში კრახით დასრულდა და იქნებ სწორედ ხორციელ საფარველში სრული გასვლის ილუზორულობის გამოხატვა სურდა მწერალს, მსგავსად ნიკოლზ ბარათაშვილის ლირიკული გმირის მიხვედრისა, როცა მან „ზენაართ სადგომი“ დაინახა მთაწმინდაზე დროისა და სივრცის ჩარჩოებიდან წამიერი გასვლისას, მაგრამ ფიქრებმა, საბოლოოდ, ვერ მიაღწიეს იქამდე, რომ დაეტოვებინათ სრულად ამაოება, ვერ შეძლეს ეს, რადგან ცოცხალი არსება მაინც დრო-სივრცის კლანჭებშია მოქცეული და „ვერ გრძნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“.

დროისა და სივრცის გარეთ გასული, ოღონდ აბსოლუტურად სხვაგვარად და სხვა მხატვრული მიზანდასახულობით შექმნილი პერსონაჟებიდან საინტერესოა ასევე ლუარსაბისა და დარეჯანის მხატვრული სახეები. აქ შინაგანი სრული იზოლაციაა ნაჩვენები. ისინი, მართალია, ხორციელად ხალხში არიან, მაგრამ მაინც არ გვევლინებიან საზოგადოების წევრებად. „ცით მონაბერი სული“ მათ სხეულებში გაითქვიფა და დაიკარგა. ცოლ-ქმარი ნამდვილად არიან „ერთ სულ და ერთ ხორც,“ როგორც ბრძანებს საღვთო წერილი“. მიუხედავად ამ ჰარმონიისა, „ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულოვანი და ერთხორციანი საკვირველად ტკბილად ცხოვრობენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი“. მათთვის უცხოა ქვეყანაში მომხდარი ამბები, ამიტომაც ეგონათ, კეთილისა და ბოროტის ხე რუსთ ხელმწიფის ბაღში თუ იყო.

დარეჯანი ბევრს შრომობს, დილიდან საღამომდე ფეხზეა და ტყუილუბრალოდ ფაციფუცობს, გორგალსავით დადის, მაგრამ ამაოა ასეთი შრომა. მათთვის ცხოვრების მთავარი აზრია, რას შეჭამენ დღეს და რას გააკეთებენ ხვალ საჭმელად. „და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთისოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ რა ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის სოფლისა“. აქ ხორცი სივრცეშია, არსად გასულა, არსად გაქცეულა, ის არეული და დაბინძურებული სივრცის ორგანული ნაწილია, სული კი გადასულია, განდეგილის ამაღლებული მიზნით საძიებელი და გარკვეული დროით მაინც ნაპოვნი უდროობის, ზედროულობის საპირისპირო, ასე ვთქვათ, ნეგატიურ, გაყინულ, გამოუვალ უდროობაში – ესაა სწორედ ის ჭაობი, რომელიც ასე აშინებს მწერალს. ლუარსაბი და დარეჯანი თითქოს ცოცხლობენ ამ სამყაროში, ცუდსაც არაფერს აკეთებენ, მეტიც, ლუარსაბი ღვთისმოსავია, ეზიარება კიდეც. ქრისტეს მცნებებით ცხოვრობს, მართალია, ჭამა კი უყვარს, მაგრამ რა მისი ბრალია, ღმერთს ასე დაუწესებია, ირონიულად ამბობს მწერალი: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით: რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, – ესეც კარგია: არარაობას სჯობია, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო, რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ რა თქმა უნდა, ლუარსაბს არაფერიც არ უქნია. ცით მონაბერი სული მასში დაჭაობებულა, იყო წუთისოფლის შვილი, მაგრამ მკვდარს ჰგავდა, არადა ცოცხლებში იხსენიებოდა. მას არასოდეს გაუმართლებია თავისი ღმერთის სურვილი: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათ. 5,48). ესაა უდროობა სიკვდილში, ძიების გარეშე, როგორც გამარჯვების, ისე განდეგილისეული დამარცხების გარეშე და ამიტომ თვისებრივად ბევრად უარესი.

ადამიანი ვალდებულია, დარჩეს ადამიანად, ნებისმიერ სიტუაციაში, იგი დამარცხებულიც კი ადამიანია, რადგან რაღაც მიზნისკენ სწრაფვაში დამარცხდა. დროის და სივრცის მიღმა გასვლის მცდელობაც შეიძლება იყოს გამოწვეული სურვილით, რომ ადამიანმა იპოვოს თავისი თავი, არსი, აღასრულოს თავისი მისია, რომელიც ადამიანობას დაუკისრებია მისთვის. ამ შემთხვევაში მისი დამარცხებაც მოძრაობაა და არსებობა და მეორე მოდელი – ლუარსაბის მოდელი კი დროისა და სივრცის მიღმა უმიზნოდ, უაზროდ, უსაგნოდ გადასვლის შემაძრწუნებელი მაგალითია, როცა ვეგეტატიური არსებობა გამორიცხავს სამყაროს ადამიანურ ჭრილში აღქმისა და მიღების უნარს. სიკვდილი გარდაუვალია. „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი, ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რამეს ქვეყანას და

არც თავის სიკვდილით აკლებენ“. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ეს კითხვა კითხვადვე რჩება, მართლაც, რისთვის მოვიდა ლუარსაბი და დარეჯანი, რა ქმნეს? რა აზრი ჰქონდა მათ სიცოცხლეს? და ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი გალევს ასე ფუჭად ხანმოკლე ცხოვრების დღეებს. ისინი რაღაც სხვა სამყაროში არსებობდნენ, სადაც მეფე მუცელი იყო, თავად კი მისი მონები. არ აქვს მნიშვნელობა, სად ხარ ხორციელად, მთავარია, რას აკეთებ.

მესამე პერსონაჟი, რომელიც ასევე ნაწილობრივ დროის მიღმა არსებობს, ვფიქრობთ, არის მოხუცი პეტრე მოთხრობიდან „სარჩობელაზედ.“ ეს კიდევ განსხვავებული გზაა. იგი არსებობს რეალურ სივრცეში, ფიზიკურად, მის სულს არ სძინავს, არც დაჭაობებულა, მაგრამ არც არაფერს ეძიებს, თითქოს ირეალურ სამყაროშია, რადგან ვერ აღიქვამს სწორად, ზუსტად რა ხდება მის გარშემო. გარკვეულწილად, ისიც მოწყვეტილია დროსა და სივრცეს, კეთილია, მოწყალე, მაგრამ გაუნათლებელია, არ შეუძლია ანალიზი, არაა ადეკვატური, ყველაფრისა და ყველასი სჯერა, არ გააჩნია კრიტიკული ანალიზის უნარი, რაც მას აშორებს რეალურ სამყაროს. ის არც არაფერს ესწრაფვის, მაგრამ არც მცენარესავით არსებობს. ადამიანია, რომელმაც კარი ვერ უპოვა ამ სამყაროს და მის გარეთ დარჩა. ეს მესამე, არანაკლებ ტრაგიკული ვარიაციაც მწერლის საერთო მხატვრულ-საზოგადოებრივი კონცეფციისთვის ორგანულია და ნაწილობრივ მხატვრულ დროსა და სივრცეში პერსონაჟის არსებობითა და გადაადგილებით გამოისახება.

მას ამ სამყაროში, შეიძლება ვიფიქროთ, წაკითხული წერილიც ვერ აბრუნებს, რადგან ის მაინც ვერ ხვდება, რა ბრალი შეიძლება მიუძღოდეს მას ძმების ამ ისტორიაში, „მართლადა ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?“, თუმცა საქმეც ისაა, რომ შუაშია. ადამიანი, პირველ რიგში, იმით უპირატესობს შექმნილ სამყაროზე, რომ აქვს გონიერება. მასში მკვიდრობს გონიერი სული, რაც არცერთ ქმნილ არსებას არ გააჩნია. ამიტომაც იწოდება იგი სამყაროს გვირგვინად. ადამიანი ყოველთვის უნდა ეძებდეს სიბრძნეს. ჩვენი მოხუცი პეტრე კეთილია, ძალიან საყვარელი პაპაა, ალბათ თეთრი წვერიც აქვს და სევდიანი თვალებიც, მაგრამ რეალობას ვერ აღიქვამს, იმდენად გულუბრყვილოა, რომ ვერ წარმოუდგენია, ასეთი რამის ქმნა თუ შეუძლია საზოგადოებას. კატის კნუტი ხომ არაა, ადამიანია, მაგრამ ბრბოსთვის სანახაობა ყველაფერია. მართალია, ადამიანია, მაგრამ ჩვეულებრივად შეიძლება მისი მოკვლა. პეტრე აქ თავისდაუნებურად აღმოჩნდა, დანაშაული არ ჩაუდენია, ვერ გააცნობიერა მომხდარი, მაგრამ განა ვისი ბრალია ეს? თავად პეტრესი, ანუ განზოგადებულად სულიერი ძალების სისუსტის გამო რეალობიდან ნაწილობრივ ამოვარდნილი ადამიანისა და ეს მოდელიც ტრაგიკული იმპულსის მქონეა.

საბოლოოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში არცთუ ისე იშვიათად გვხვდება დრო-სივრცის გარეთ მყოფი პერსონაჟები. დროისა და სივრცის მიღმა გასვლის მექანიზმი, პროცესი შესაძლოა, წინა პლანზე არც ჰქონდეს წამოწეული მწერალს, მისი მხატვრული ამოცანა არც იყოს ამ მოდელების ჩვენება, მაგრამ მათი გააზრებულად თუ მხატვრული ქსოვილის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე არსებობა ასრულებს თავის ფუნქციას და აზრობრივ და გამომსახველობით სიღრმეს მატებს ტექსტს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი
26 მაისი, 1918 წელი



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთარი იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„ბევრად საუკუნეა განცალკევებულ საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„ეროვნულ საუკუნის დასასრულ ეოცულ შრომა მეტრისაკენ მეფეობენელი საქართველო თვისი ნებით შეერთდა რუსეთს ამ პირობით, რომ რუსეთი კეთდებელი იყო საქართველო კარგად მეტრისაკენ დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის შედეგებმა რუსეთი ისეთი მანკანი ეფეთ ბილებს შეექმნა, რომ მიული სიმაცრი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამორკეკანია.

„დარჩენ რა თვისი ძალიანის ამრად, საქართველომ და მასთან ერთად ამორკეკანმან თვით იფეეს თავს საკუთარი საქმეების კეთილი და პატრონობა და შიგნეთი ორგანიზეც შეექმნეს; მეორეს კარგე ძალი ხელეკეკეონი ამორკეკანისის ერთა ეეფეთ ეეფეთ კეკნარი დაიდეკ და მით ამორკეკანის პოლიტიკური მეალიანობაც დაიძალ.

„ერთეული ერის დეფენდეკეი მეკიანარეობა ეეფეთ მოითხოეს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციი შეექმნის, მისი სიფეფლებით კარგე ძალის მიერ დაეარობისეან თავი კეკეთინის და დამოუკიდებელ ეროვნებების მეტიეკ საფეფლეი ეაკეს.

„ამისეკ თანხმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს ამ ეფეფეკ საქართველოს ეროვნულ ეროლობის მიერ, დეფეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუეერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ურთიერთობა საქართველო მეგმეთი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ხელს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური კავშირობილება დამყარონს, ეანმაკეორებთან—ეი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველეყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეანურწყალად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მეკუთვნეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეანეკთარების თავისუფალ ანმარეს კეკეხნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ ერების მეკრებმეგ მიული საქართველოს მართვა-გაკეკეობის საქმეს უმეტეს ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და ეროვნებით მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ISSN 2587-5027

9 772587 502000

უნივერსიტეტის
გამომცემლობა